საერთო გაზეთი

№39 (450) • 25 ოქტომბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ამომრჩეველთა და ამორჩეულთა შესახებ

თბილისელმა ამომრჩეველმა თბილისის მერად კახა კალაძის არჩევით სწორი და პრაგმატული არჩევანი გააკეთა

მერაბ ჩუხუა:

საქართველომ ხელახლა უნდა აღმოაჩინოს საკუთარი თავი კავკასიაში

რამდენი სახელმწიფო ენაა საქართველოში?

აქ ჩამოსული არაბები მიიჩნევენ, რომ მათი წინაპრები 300 წელი აშენებდნენ თბილისს და ამ ქვეყანაში გარკვეული პრივილეგიები უნდა ჰქონდეთ

ლალი ბერძენიშვილი:

სააკაშვილის რეფორმის კრიტიკის გამო, ჩემი გასამართლება 12 წელიწადია გრძელდება

ხმას რომ არ გაძლევს, ამიტომ შენს ხალხს „ნახირი“, საქონელი“ და „ნაძირალა“ უნდა უძახო?

როდის და სად ამოხეთქავს ვულკანი, სახელად საომარი ვითარება?

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ხმას რომ არ გაძლევს ამიტომ შენს ხალხს „ნახირი“, საქონელი“ და „ნაძირალა“ უნდა უძახო?

ნახირი და ნაძირალები უწოდა თვითმმართველობის არჩევნებზე მისულ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა: „აბელ სეთურის ნახირი იყო, ვინც გუშინ მივიდა და ივანიშვილის რეჟიმი შემოხაზა.“ „ოჯახი, ჩემი პირადი კარიერა, კეთილდღეობა გავწირე იმ ნაძირალა ხალხისთვის, ვინც დღეს კიდევ წავიდა და ხმა მისცა ივანიშვილის პარტიას და იმ პარტიებს, ვინც ხალხის სისხლს სვავდა მაშინ, როცა მე მატროსოვივით გადაფარებული ვიყავი ამ ქვეყანაზე.“

ნათელაშვილის თქმით, ივანიშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას ანექსია გაუკეთა, ამიტომ წინ ძალიან დიდი ბრძოლა ელის, რადგან ბანკირ-ოლიგარქთა რეჟიმი უზნეობით ხელში ჩაგდებულ ძალაუფლებაზე ნებაყოფლობით უარს არ იტყვის.

სხვათა შორის, სანამ საქართველოს 836 816 მოქალაქეს ნაძირალებს და ნახირს უწოდებდა, ქვეყნის მთავარმა ლეიბორისტმა მსოფლიო ფინანსურ ორგანიზაციებს ბიძინა ივანიშვილის ანგარიშების დაბლოკვისკენ მოუწოდა. დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ იმ ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით, რომლებსაც საქართველოში მდიდარი უცხოელების მზარდი ინტერესები აშფოთებთ, ეროვნულობაზე პრეტენზიის მქონე ლეიბორისტული პარტიის მთავარი და მუდმივი სამიზნე ქვეყანაში პრაქტიკულად, ერთადერთი ქართული ბანკი და მისი მფლობელი გახდა. კიდევ უფრო საინტერესოა, ნათელაშვილის გათვლებით, რა სიკეთეს მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას და უბრალო ადამიანებს ყველაზე მდიდარი ქართველის ანგარიშების დაყადაღება, რომლის ყოველთვიური დახმარება უამრავი ადამიანისთვის ერთადერთი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. რადგან სიტყვა ქვემოქმედებაზე ჩამოვარდა, იმასაც გეტყვით, რომ „ქართული ოცნების“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის ახლად არჩეულმა მერმა მარტო შარშან, ქველმოქმედებაში ნახევარი მილიონი ლარი დახარჯა.

რაც შეეხება პრეზიდენტისა თუ მთავრობის წევრთა გადადგომას და პოლიტიკიდან წასვლას, ამისკენ ექსპერტთა ნაწილი სწორედ არჩევნებზე ხელმოცარულ პარტიებს მოუწოდებს. მაგალითად, ექსპერტი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ დროა, „სახლში წავიდნენ“ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც არჩევნებში არასოდეს გაუმარჯვიათ:

„ძალით პარტიას სახლში ვერ გაუშვებ. დანამუსების რეპლიკები უფრო გვაქვს. თვითმმართველობის არჩევნებში კიდევ უფრო უარესი შედეგები აჩვენა ზოგიერთმა პარტიამ, ვიდრე აქამდე იყო. გამონაკლისი იყო „ევროპული საქართველო“, რომლის ასეთ წამოწევას არავინ ელოდა. უამრავ პარტიასთან ან იგივე სურათი გვაქვს, რაც წინა არჩევნებზე გვქონდა, ან ცოტათი უარესი. ერთსა და იგივე სახეებს ვუყურებთ დიდი ხანია. ბევრმა წარმატებულმა პოლიტიკოსმა დატოვა პოლიტიკური არენა, მაგრამ ბევრი, დაბალი პროცენტების მიუხედავად, ისევ პოლიტიკაში რჩება“ — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

და ბოლოს, ოპოზიციის აპოკალიფსური შეფასებების მიუხედავად, საქართველოში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები პოზიტიურად შეფასდა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მიერ. როგორც სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა კორენ იონკერმა განაცხადა, საარჩევნო სუბიექტებს შეეძლოთ თავისუფლად მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. „არჩევნების ეფექტიანმა ადმინისტრირებამ და ამომრჩეველთა რეგისტრაციის სიზუსტემ პროცესის ხარისხიანად წარმართვას შეუწყო ხელი“.

ამერიკისა და ევროპის საკითხებში დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრმა სერ ალან დანკანმა კი საქართველოში ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნებს დემოკრატიული სტანდარტების მაგალითი უწოდა: „ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დემოკრატიული სტანდარტების მიმართ საქართველოს ერთგულებამ, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ კვირას საქართველოში ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნებით“ — აღნიშნა დანკანმა.

ნელი თორდია
571 35 36 88



ლელა ქიტესაშვილი – მოლოდინი მაქვს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება

„ქართული ოცნების“ თიანეთის მერობის კანდიატის ლელა ქიტესაშვილის განცხადებით, თიანეთის მე-20 ოლქში არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, არ მიიჩნევს, რომ მის კონკურენტ თამაზ მეჭიაურს არჩევნების შედეგები გაუყალბდა.

„ზოგადად, ამ ეტაპზე თავს შევიკავებ კომენტარისგან, რადგან 25 ოქტომბერს გამოცხადდება სარეზოლუციო ნაწილი და ამის შემდეგ ვიმსჯელებ. მე ვარ ჩემი სიმართლის მხარეს. მიმაჩნია, რომ ჩვენი მხრივ არანაირ დარღვევას არ ჰქონია ადგილი. ამას დაადგენს სასამართლო. მოლოდინი მაქვს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება“, – განაცხადა ქიტესაშვილმა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დღეს არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული ინიციატივა საერთაშორისო ცენტრის“ სარჩელი განიხილა, რომლის მიხედვით, ორგანიზაცია მეოცე უბნის შედეგების ბათილად ცნობას და არჩევნების ხელახლა ჩატარებას ითხოვს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მესამე სექტორის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სარეზოლუციო ნაწილი 25 ოქტომბრის 13:00 საათზე გამოცხადდება.

თამაზ მეჭიაური – გამარჯვებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ

მზად ვარ იმისთვის, რომ არჩევნები ხელახლა ჩატარდეს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს თიანეთის მერობის კანდიდატმა თამაზ მეჭიაურმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. მისი თქმით, ხვალ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, ჯერჯერობით პასუხი არ აქვს, თუმცა გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

„ხვალინდელ მოლოდინზე ვერაფერს ვიტყვი. როგორიც არ უნდა იყოს გადაწყვეტილება, უნდა ვიბრძოლოთ. ამაზე ორი აზრი არ არის. ყველაზე იდეალური ვარიანტი იქნება ის, რაზეც ვჯერდებით, რომ გაუქმდეს მე-16 და მე-17 განკარგულებები. მგონი ყველა დარწმუნდა, რომ ეს გაყალბებულია”, – აღნიშნა მეჭიაურმა.

მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ახალი ჯარიმები წესდება

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ რამდენიმე ახალი ნორმა ემატება, რომელიც პარლამენტს დეპუტატებმა კახა კუჭავამ და გოგა გულორდავამ წარუდგინეს. კერძოდ, 3 თვეზე მეტი ვადით მიტოვებული სატრანპორტო საშუალების მესაკუთრე 50 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.

სამარშუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილ მოძრაობის სპეციალურ ზოლში (BUS LINE) მოძრაობა, გაჩერება ან დგომა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, 50 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს ველოსიპედის ბილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე სხვა სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, გაჩერება ან დგომა.

წინასწარი შეცნობით სატრანპორტო საშუალების გზაზე გაჩერება ან დგომა რეგისტრაციის ნომრის, შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST“ ნომრის გარეშე, გამოიწვევს მესაკუთრის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

ამავე დროს, პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით, იმ შემთხვევაში, როდესაც დგინდება, რომ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის, შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან “TEST“ ნომრის განუთავსებლობა გამოწვეული იყოს მისი მოპარვით, სატრანპორტო საშუალების მესაკუთრე თავისუფლდება ადმინისტრაციული სახდელისგან, სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯებისგან.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ამომრჩეველთა და ამორჩეულთა შესახებ

თბილისელმა ამომრჩეველმა თბილისის მერად კახა კალაძის არჩევით სწორი და პრაგმატული არჩევანი გააკეთა

არჩევნები, პირველ რიგში, არა ასარჩევების, არამედ ამომრჩევლების გამოცდაა.

არჩევნები ზუსტად აჩვენებს, თუ რას წარმოადგენს საზოგადოება, რომელიც საარჩევნო ყუთთან მიდის და ამა თუ იმ სუბიექტს ირჩევს თავის წარმომადგენლად.

სწორი არჩევანის გაკეთება მხოლოდ იმ საზოგადოებას შეუძლია, რომელიც პრაგმატულად აზროვნებს და არჩევანს არა ემოციების კარნახით, არამედ ცივი გონებით, აწონილ-დაწონილ გათვლებზე დაყრდნობით აკეთებს.

მითხარი, ვის ირჩევ და გეტყვი, ვინ ხარ შენ!

21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველმა ამომრჩეველმა წარმატებით ჩააბარა ესოდენ რთული და საპასუხისმგებლო გამოცდა.

●

საარჩევნო პროცესში ნათლად გამოჩნდება ხოლმე, ვის რა წარმოდგენა აქვს იმ საზოგადოებაზე, რომელსაც ესა თუ ის კანდიდატი თავის პერსონას სთავაზობს ლიდერად და წინამძღოლად.

კარგად გამოჩნდა ეს ახლანდელი ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კამპანიებზე დაკვირვების დროსაც.

ასე, მაგალითად, „ნაციონალურ მოძრაობას“, ეტყობა, დღემდე ჰგონია, რომ საქართველოს მოსახლეობა ბნელი, ტლუ, გონებაჩლუნგი მასაა, რომელიც ერთი და იგივე პიარხრიკებით, ერთი და იგივე ლოზუნგებით, ერთი და იგივე დემაგოგიით შეგიძლია დაუსრულებლად ატყუო.

ნაცების საარჩევნო კამპანია და ის მთავარი სლოგანი, რაზეც ეს კამპანია იყო აგებული, სინამდვილეში საზოგადოების აბუჩად აგდება და შეურაცხყოფაა, თუმცა ნაცები ამას, როგორც ჩანს, ვერ ხვდებიან.

„ნაციონალურ მოძრაობას“ 2003 წლიდან, ანუ თითქმის 14 წლის მანძილზე, ფაქტობრივად, არ შეუცვლია საარჩევნო ტაქტიკა და სტრატეგია.

ისინი დღესაც ძალისმიერი მეთოდებით, შევარდნებით, შეჭრებით, უკიდურესი აგრესიით ცდილობენ ამომრჩევლის გულის მონადირებას, რაც აშკარად მათი გონებრივი სიდუხჭირის და სიბრიყვის მიმანიშნებელია.

როგორი სულელი და იდიოტი უნდა გეგონოს ამომრჩეველი, რომ ის დააჯერო, თითქოს თბილისი ივანიშვილმა მიიტაცა და ახლა ნაცების წინამძღოლობით თბილისელებმა თბილისის დაკარგული ტერიტორიები უნდა დაიბრუნონ.

თითქოს ივანიშვილი მურვანყრუ ან ჯალალედინია, რომელმაც თბილისის ტერიტორიის ნაწილი დაიპყრო და ახლა ზალიკო უდუმაშვილმა და მისმა ლაშქარმა უნდა გაათავისუფლოს.

პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაკუთრებით არჩევნების დროს, ტყუილი, რაღაც დოზით, ყოველთვის ახლავს, მაგრამ როცა მთელ საარჩევნო კამპანიას თავიდან ბოლომდე ტყუილზე აგებ, ეს იგივეა, საკუთარი ნებით ხაფანგში შეჰყო თავი.

ნაციონალები არსებული რეალობიდან გამომდინარე კი არ მოქმედებდნენ, არამედ შორეულ ისტორიულ მოვლენებს მიმსგავსებულ რაღაც გმირულ-ჰეროიკული ხასიათის წარმოდგენას დგამდნენ.

ამ წარმოდგენაში უდუმაშვილი დავით აღმაშენებლის როლს ასრულებდა.

კი, მაგრამ, სირცხვილი არ არის, ზალიკო რომ ხარ და დავით აღმაშენებლობას რომ იჩემებ და თანაც თბილისის გათავისუფლებას აპირებ იმ კაცისგან, რომელმაც ამ ქალაქს უამრავი სიკეთე გაუკეთა?!.

თუ ვინმემ დაიპყრო თბილისი და მასთან ერთად საქართველოც, სწორედ რომ ნაციონალებმა დაიპყრეს და ცხრა წლის განმავლობაში ჯიჯგნეს და აუპატიურეს.

სიმართლე ეს არის და ამ სიმართლის გადაფარვა უნიჭოდ დადგმული სპექტაკლებით შეუძლებელია.

— ღმერთი არ გაგიწყრეთ და გაყალბებისკენ არ წაგიცდეთ ხელი! — მრისხანედ აფრთხილებდა „ქართულ ოცნებას“ უდუმაშვილი.

— რას ამბობთ, ბატონო ზაალ, ცოტა თუ არ წამოგეშველნენ და ცოტა თუ არ გაგიყალბეს, რომელი ხმების ამღები თქვენ ხართ, თქვე საცოხავებო, — წაუგველა ვიღაც მოქალაქემ „ნაცებს„ ფეისბუქში.

რამდენიმე პარტიად დაშლილი „ნაცმოძრაობის“ მდხარდამჭერთა ხმები რამდენიმე მიმართულებით უნდა გაიშალა, რითაც, ფაქტობრივად, დასრულდბა მითი იმის შესახებ, რომ „ნაცმოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალაა.

სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, მთელი ხუთი წლის განმავლობაში, ნაციონალები გამუდმებით ცდილობენ იმ ავადსახსენებელი 2003 წლის შემოდგომის დაბრუნებას.

არადა, როგორც ორჯერ ვერ შეხვალ ერთსა და იმავე მდინარეში, პოლიტიკაშიც ასევე ორჯერ ვერ გაიმეორებ იმას, რაც ერთხელ უკვე მოხდა.

ასე რომ, თქვენმა მდინარემ ჩაიარა, „ნაციონალებო“ და როგორი თავქუდმოგლეჯილნიც არ უნდა გამოეკიდოთ ამ მდინარეს, აწი, უკვე, ვერ დაეწევით...

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი ელისაშვილი რომ გაჯობებთ ამდენ ნაციონალს, ამის შემდეგ სირცხვილით თავი არც გამოგეყოფათ...

●

თბილისის მერობის თითქმის ყველა კანდიდატის პროგრამაში არის ცალკეული საინტერესო და ყურადსაღები დეტალები, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს დეტალები საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობას რომელიმე ამ კანდიდატისთვის დაეჭირა მხარი.

ამ ფონზე უდავოდ გამორჩეული ფიგურა იყო **კახა კალაძის** ფიგურა, რომელსაც თავის პროგრამაში, ფაქტობრივად, ყველა იმ პრობლემაზე ჰქონდა ყურადღება გამახვილებული, რომლებიც დღეს თბილისს აწუხებს.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, არჩევნები, პირველ რიგში, საზოგადოების გამოცდა და იმის ილუსტრირებაა, აქვს თუ არა მას სწორი არჩევანის გაკეთების უნარი.

თუ ობიექტურად და მიუკერძოებლად გავაანალიზებთ სიტუაციას, აუცილებლად დავრწმუნდებით, რომ თბილისელმა ამომრჩეველმა თბილისის მერობის კანდიდატებიდან თბილისის მერად კახა კალაძის არჩევით სწორი და პრაგმატული არჩევანი გააკეთა.

რაც ახლა ვთქვით, ამას არც კალაძისადმი განსაკუთრებული სიმპათიის გამო ვამბობთ, არც იმის გამო, რომ ის სახელისუფლო გუნდის წარმომადგენელია.

არის მრავალ ფაქტორთა და არგუმენტთა ერთობა, უეჭველს ხდის, რომ კახა კალაძე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მერი იქნება, ვინც კი ოდესმე თბილისს ჰყოლია!

უდავოდ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ კახა კალაძემ, დროის უმოკლეს ვადაში, თვითონ შექმნა და გამოძერწა საკუთარი თავი, როგორც პოლიტიკოსმა.

ამის მიღწევა მხოლოდ ნიჭიერ ადამიანს შეუძლია, ნიჭიერება კი ისეთი მადლია, რომელიც ბევრ სიკეთეს მოიყოლებს ხოლმე.

რეგვენი თავისნაირ რეგვენებს ეძებს, ნიჭიერი ადამიანი კი ნიჭიერ ადამიანებს ირჩევს თანამებრძოლებად.

თბილისი ჭრელი და რთული ქალაქია, რომლის მერიც მამაცი, გაბედული, უშიშარი ადამიანი უნდა იყოს.

კახა კალაძეს ყველა ეს თვისება აქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

კახა კალაძეს, როგორც სახელისუფლო გუნდის წევრს, ყველაზე მეტი შანსი აქვს, რაელობად აქციოს ის გეგმები, რაც მან ამომრჩევლებს წარუდგინა.

და რაც მთავარია, კახა კალაძისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, თბილისის მერობა არ შეიძლება იყოს მისი პოლიტიკური კარიერის მწვერვალი.

თბილისის მერობა მისთვის ტრამპლინია უფრო მნიშვნელოვანი მწვერვალების დასაპყრობად.

ამიტომაც, დარწმუნებული ვართ, კახა კალაძე მთელ თავის ენერგიას ჩადებს იმ სიტყვის შესასრულებლად, რომელიოც მან თბილისელებს მისცა.

●

კახა კალაძე, როგორც თბილისის მერი, ნამდვილად იქნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც არა მარტო თბილისის განვითარებისა და აღავლობისთვის იღვაწებს, არამედ თავის წვლილს შეიტანს ზოგადად ქართული სახელმწიფოს შემდგომი წინსვლისა და წარმატებების საქმეშიც.

სხვანაირად და სხვაგვარად არც გამოვა — „თბილისი ვერ იქნება სიცოცხლით სავსე ქალაქი, თუ საქართველო არ გახდება სიცოცხლით სავსე, მძლავრი და მდიდარი ქვეყანა“.

ვახტანგ ხარჩილავა

საქართველომ ხელახლა უნდა აღმოაჩინოს საკუთარი თავი კავკასიაში

გვესაუბრება კავკასიოლოგი მერაბ ჩუხუა:

— ბატონო მერაბ, თქვენ ეროვნული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენელი ბრძანდებით. სწორედ, ზვიად გამსახურდიას დროს დაიბადა „ერთიანი კავკასიური სახლის“ იდეა, რომელიც დღემდე ცოცხლობს, თუმცა, ვერ ხორციელდება. რა არის ამის მიზეზი და რამდენად ხედავთ იდეის ხორცშესხმის შესაძლებლობას?

— დიახ, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიდგომა, რეგიონული განვითარების კუთხით, აბსოლუტურად, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. 9 აპრილის შემდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააქტიურდა, სადაც ბევრმა თავი გამოიჩინა, ბევრმაც შეირცხვინა. გამსახურდია სუფთა ხელებით, წმინდა ნაციონალური იდეით მოვიდა. ანუ, მის ხელში კავკასიური ერთიანობის, ისე როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა, მხოლოდ პროგრესირებადი იყო. მან შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება. სწორედ, მის ოფლსა და სისხლზე დგას თანამედროვე საქართველო. ამავე დროს დაგვიტოვა ერთიანი კავკასიის იდეა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. თუმცა, ეს ისტორია გამსახურდიადან არ დაწყებულა, არამედ ოდითგანვე, ქართველებშიც და კავკასიელებშიც ცოცხალი, ქმედუნარიანი იდეა, კეთილმეზობლური, პატრიოტული, ურთიერთდაფასების ფორმატი იყო და არა ვასალურ პირობებში შექმნილი რამ. ეს იყო თანასწორთა ერთიანობა, რაც საქართველოს კავკასიურ სივრცეში, წარმატებული არსებობისათვის, აუცილებელი მომენტია. ჩვენ, უნდა ვაღიაროთ იმ ხალხების თანასწორუფლებიანობა, რომლითაც საქართველო გარშემორტყმულია. გამსახურდიას პერიოდში, ჩემი უშუალო მონაწილეობით, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩერქეზეთის, დაღესტნის მიმართულებით. ჩერქეზული შერეული დელეგაცია საკუთრივ ჩერქეზეთიდან და უცხოეთის დიასპორული ჩერქეზეთიდან, საქართველოს ხელისუფლებიდან კორიდორს ითხოვდნენ, ანუ, სამშობლოსკენ გასასვლელს. ისინი, გენოციდის შემდგომ, სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობას საქართველოდან ხედავდნენ. ზვიად გამსახურდიამ ამაზე თანხმობა განაცხადა. მკითხველის გასაგონად მინდა ვთქვა: მთელს მსოფლიოში მიმობნეული ჩერქეზები, დაახლოებით, შვიდმილიონიან ჩერქეზულ დიასპორას ქმნიან. ეს ერთი უდიდესი, კავკასიური რასის ღირსეული ნაწილია. ჩეჩნეთის მიმართულებით განხორციელდა პროექტი, რომელიც თავისუფალი ჩეჩნეთის ეროვნული იდეიდან გამომდინარეობდა. შეიქმნა რესპუბლიკა იჩქერია ყველა დემოკრატიული სეგმენტით, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს ახასიათებს, რაშიც მონაწილეობას ქართველი დეპუტატები იღებდნენ. შემდგომ იყო ინგუშეთის თემა, რომელიც შიგნით, რუსეთის ფედერაციის ფარგლებში, ტერიტორიული ერთიანობისკენ მიისწრაფოდა. მოგეხსენებათ, ინგუშური ტერიტორიების დასავლეთი ნაწილი ანუ, დასავლეთ-ინგუშეთი მაშინ და დღესაც ინგუშეთის შემადგენლობაში არ იყო და ისინი, ტერიტორიულ ერთიანობას ოსებთან კონფედერაციის საწყისებზეც კი ფიქრობდნენ, ანუ, ოსურ-ინგუშურ რესპუბლიკაზეც თანხმა იყვნენ. ჩვენი, ქართული სეგმენტის მონაწილეობა აქტიური იყო. დაღესტანთან დაკავშირებით იყო პრობლემები, მათ ეუბნებოდნენ, რომ გამსახურდია საფრთხობელაა, თუმცა, მოგვიანებით ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ბატონ ზვიადს ტრადიციული დაღესტნური ხმალი მიართვეს როგორც სიმბოლო მეგობრული და ძლიერი ერთიანობისა. ანუ, მაშინ ყველა მიმართულება მოგვარებადი იყო. გამსახურდია, ასევე, აქტიურ პოლიტიკას აძლიერებდა ოსეთის ჩრდილოურ ნაწილთან, შეხვედრები ჰქონდა ოსურ ხელმძღვანელობასთან კერძოდ, გალაზოვთან. ამ მიმართულებითაც დიდი პერსპექტივა ჩანდა, მაგრამ ეს ყველაფერი ძალას იძენდა მხოლოდ იქედან გამომდინარე, რომ გამსახურდია საქართველოს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი იყო. სამწუხაროდ, აქ, უკვე, გადაიდგა ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული ნაბიჯი პუტჩის სახით, რამაც საქართველოს პირველი ეროვნული ხელისუფლება იმსხვერპლა.

— ... და ერთიანი კავკასიური სახლის იდეა განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ ჩვენ, ქართველები ხომ კავკასიელები ვართ. განა შეიძლება კავკასიური სივრციდან ამოვვარდეთ?

— საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რაც ქართული ეროვნული ენერგიის აქტიური მოქმედების ნაყოფი იყო, მაგრამ ჩრდილოეთ-კავკასიელები თავიანთ ეროვნულ იდეებს ავითარებდნენ. ასევე, ფიქრობდნენ დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნას, სულ მცირე რუსეთის შემადგენლობაში ოღონდ, არა კაბალური არამედ ჰარმონიული, თანასწორუფლებიანობის ფარგლებში. მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, სპეცსამსახურებმა მოახერხეს ჩრდილო-კავკასიური, ამ ეროვნული ტალღის არა საკუთრივ ჩრდილო-კავკასიური იდეის გზით ტარება, არამედ მისთვის ანტიქართული მიმართულების მიცემა. ეს, პრაქტიკულად, ანტიქართული მოძრაობა გახდა, რისი პიკი შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი იყო აფხაზეთის ომის სახით, სადაც ურთიერთს ორი დიდი ეროვნული ენერგია — ჩრდილო-კავკასიური და ქართული შეეჯახა. რისთვის? შევარდნაძე იყო ამ პროექტის ნაწილი, რომელიც ანტიქართულად იყო განწყობილი და საქართველო, როგორც თქვენ ბრძანეთ, საკუთარივე ფესვებით დაამარცხა. ჩვენ ეს ომი ჩრდილო-კავკასიელებთან ფიზიკურად წავაგეთ იმიტომ, რომ საკუთარ ფესვებს და მათთან ჰარმონიული თანაარსებობის პრინციპებს დაუპირისპირდით. რაც შეეხება ჩვენს ევროპულობას, რა თქმა უნდა, მომხრე ვარ საქართველო ვითარდებოდეს თანამედროვე ცივილიზაციების და პროგრესის პირობებში, მაგრამ ამავდროულად, ევროპისთვის საქართველო საინტერესო ხდება იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად რეგიონული სახელმწიფოა, რამდენად შეუძლია მას რეგიონში ლიდერი სახელმწიფოს სახე შექმნას, რომელმაც რეგიონი უნდა მოიცვას და მას ყველა ის პლუსი დაანახოს, რაც განვითარებასთან, პროგრესთან და დემოკრატიასთან არის დაკავშირებული. მაჩანჩალა, უიდეო საქართველო, რომელსაც არ აქვს ეროვნული ნაციონალური იდეა, არც კავკასიელებს მოეწონებათ და არც ევროპელებს.

დღესაც კი, საქართველოს, მთელი კავკასია იმედის თვალით შეჰყურებს, რაც პირდაპირ ჩანს სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, ჩრდილო-კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში. რატომ? — საქართველო ერთადერთია, რომელსაც შეუძლია გამაერთიანებლის როლი ითამაშოს. გაერთიანება არ ნიშნავს მატერიალურ ან ტერიტორიულ ერთიანობას. აქ საუბარია ღირებულებებზე, ფასეულობებზე დაფუძნებულ ერთიანობაზე, რომლის ცენტრიც ჯერ კიდევ თბილისია. ჩვენს დედაქალაქში მთელი კავკასია თავის ქალაქად აღიარებს.

ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, რომ იპოვოს თავისი ადგილი მისსავე ბუნებრივ წიაღში არამხოლოდ ტრადიციით, არამედ დღევანდელობითაც. საქართველომ აჩვენა, რომ შეიძლება ახალი სახელმწიფოს შენება ნულიდან კი არა მინუს უსასრულობიდან დაიწყო. შევარდნაძის დროს საქართველოს იდეა არ ჰქონდა. დღეს, საქართველოს მიმართულება, განვითარების თვალსაზრისით, აბსოლუტურად სწორია, მაგრამ ჩვენ ერთ სეგმენტში ძალიან მოვიკოჭლებთ — რეგიონის შეფასებაში. პრაქტიკულად, არ ვგრძნობთ ჩრდილოეთ-კავკასიას. ჩვენთვის, ჩრდილოეთ-კავკასია არის მტრული გარემოცვა. დიდი ნაწილი ასე უყურებს, მათ შორის, ზოგი მეცნიერიც, რომელიც საზოგადოებას ელაპარაკება რომ იყო ლეკიანობა, აფხაზეთის ომი, ოსებში დიდი წინააღმდეგობები. არა, ჩვენ უნდა მოვახერხოთ პოზიტივის მობილიზება და წინ წამოვწიოთ ის რაც გვაერთიანებს. გვაერთიანებს ბევრი რამ. ჩვენ ხელახლა უნდა აღმოვაჩინოთ ჩვენი თავი კავკასიაში.

ჩვენ ხომ არ დაგვითვლია, არ ვიცით რა პოტენცია არსებობს ჩრდილო-კავკასიელ დიასპორებში, რომლებიც მთელს მსოფლიოშია. თვით რუსეთშიც უმდიდრეს მილიარდერთა სიას თუ გადახედავთ, ყველაზე მდიდრები კავკასიელები არიან — ჩერქეზები, ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები, რომლებთანაც, პრაქტიკულად, დიალოგი არ გვაქვს, თუ რატომ, ჩემთვის გაუგებარია.

ჩვენ, ახალი ეროვნული კონცეფცია, სახელმწიფოებრივი ნაციონალური იდეა გვჭირდება, რაც ჩამოყალიბებული არ არის. ვთვლი, რომ საქართველოს ყველაზე დიდი ნაციონალური იდეა უნდა იყოს რეგიონის ანუ, კავკასიის მშვიდობიანი განვითარების კონცეფცია, რომელსაც მიესალმება და საქართველოსგან ყველა ელოდება.

6 გვ. →

საქართველოში ჩამოსული არაბები მიიჩნევენ, რომ მათი წინაპრები 300 წელი აშენებდნენ თბილისს და ამ ქვეყანაში გარკვეული პრივილეგიები უნდა ჰქონდეთ

ვაგრძელებთ ინტერვიუს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილესთან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ **გელა ხუციშვილთან**. ჩვენმა რესპოდენტმა „ქართული ოცნების" ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, გარდაბნის რაიონის გამგებლის თანამდებობა დაიკავა, თუმცა საკრებულოს მიერ მოწყობილი იმპიჩმენტის გამო, თანამდებობის დატოვება მოუწია, რაც გელა ხუციშვილის განცხადებით, გარდაბნის რაიონის მიწების განიავების საკითხით მის დაინტერესებას უკავშირდება.

ჯერ კიდევ ჩემი გამგებლობის პერიოდში მოდიოდნენ ირანელი ბიზნესმენები და მაინც და მაინც ვაზიანსა და მის შემოგარენში ითხოვდნენ მიწის გამოყოფას სასაწყობო მეურნეობისა თუ მაღაზიების ასაშენებლად. რომელი ცენტრალური გზა და ხელსაყრელი სავაჭრო მიდამოა ვაზიანი, თუ შორს გათვლილი ზრახვები არ აქვთ? ახლახანს ინტერნეტსივრცეში ახალი სიმღერაც გამოჩნდა, სადაც ირანელი მომღერალი ითხოვს მათი „კუთვნილი" ტერიტორიები დაუბრუნდეთ, თურმე საქართველო მათი კუთვნილება ყოფილა. საქართველოში ჩამოსული ახალგაზრდა არაბები კი მიიჩნევენ, რომ მათი წინაპრები 300 წელი აშენებდნენ თბილისს და ახლა მათია. საქართველოს ტერიტორიების მიმართ ანალოგიური პრეტენზიები აქვთ თურქებსაც, ასე რომ, ჩვენ დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ. საქართველო კი არის ტოლერანტული ქვეყანა, მაგრამ ტოლერანტები რელიგიური აღმსარებლობის მიმართ ვართ და არა იმ უზნეობის, რაც ქვეყანაში ხდება. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სუნიტები და შიიტები მშვიდად ლოცულობენ ერთ მეჩეთში, არასდროს ყოფილა მათ შორის კონფლიქტი, არადა ხომ ხედავთ რა სისხლიანი დაპირისპირება ამ ორ ფრთას შორის მთელს მსოფლიოში. რაიმე კონფლიქტი რომ მოხდეს შიიტურ ირანში, თავისთავად წამოვა ლტოლვილთა ნაკადი, ჩვენი საზღვარი ფაქტობრივად დაუცველია, ისინი უპრობლემოდ შემოვლენ საქართველოში, სად არის გარანტია, როგორი კონფლიქტის კერა გაღვივდება ადგილობრივ მუსულმანებთან, რომელთა უმეტესობა სუნიტია?!

ხელისუფლება გვიცხადებს, კონსტიტუციით ავკრძალეთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწის გაყიდვაო, მაგრამ იქ ძალზე ვერაგული სქემა მუშაობს. ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე ჩამოვა თავისი ოჯახით, აეროპორტშივე იხდის საქართველოში შემოსვლის თანხას, იქიდან იუსტიციის სამინისტროში მიდის, გადაიხდის 35 თუ 38 ათას დოლლარს, ღებულობს ბინადრობისა და საქმიანობის უფლებას, მისი დასაქმების სფერო კი მიწათმოქმედებაა. ამ თითო უცხოელს ოთხი ცოლი რომ ჩამოყავს თავისი 4–4 შვილით, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. ეს უცხოელი დეკლარაციას რომ ავსებს, რატომ არავინ კითხულობს მისი ფულის წარმომავლობას. როდესაც რომელიმე სახელმწიფო თავის მოქალაქეს სუბსიდიას აძლევს, წადი და სხვა ქვეყანაში, იგივე საქართველოში დასახლდიო, ეს ხომ არ არის ერთგვარი ექსპანსიის მცდელობა? როგორც კი ეს უცხოელი საქართველოში მიწას იჯარით იღებს და საქმდება, მნიშვნელობა არ აქვს იჯარის ხანგრძლივობას, მისი ცოლები საქართველოშიც უჩენენ შვილებს. საქართველოს კანონმდებლობით, ქვეყნის მოქალაქე შეიძლება გახდეს პირი, რომელიც საქართველოში დაიბადა. ამ უცხოელის საქართველოში დაბადებული შვილები, იჯარის ვადის გასვლამდე უკვე სრულწლოვანები იქნებიან, ე.ი. ამ მიწის კეთილსინდისიერი მფლობელები ხდებიან. ნახეთ რა ვითარებაა კახეთში ან ქვემო ქართლში, ზოოვეტინსტიტუტის მიმდებარედ, ე.წ. გიგანტის დასახლების ტერიტორიაზე მიწები არაბებს მიყიდეს. ამ არაბმაც დაყო ეს მიწა პატარ-პატარა ფართობებად, ააშენა 40 თუ 60 კვ.მ ფართობის სახლები, რომელსაც პროექტი არ ჭირდება და ახლა მათი გაყიდვის საკითხი დგება, ის ან არაბზე გაყიდის, ან იმაზე, ერთი სიტყვით, პატარა სოფელია. ასეთი სოფლის გაკეთების მცდელობა იყო კუმისშიც. გარდაბნის რაიონი ავჭალამდე ვრცელდებოდა, ადრეც გითხარით, ქართული მოსახლეობა ნაკლებად ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე, თავიდან სტალინის მმართველობის პერიოდში ჩამოასახლეს აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთიდან მოსახლეობა, მაშინ გაშენდა სოფლები: გამარჯვება, ფოლადაანთკარი, სამგორი. მოგვიანებით ჯუმბერ პატიაშვილის ცეკას პირველი მდივნობის დროს ჩაასახლეს ეკომიგრანტები და გაჩნდა სოფლები ლელაშხა, ლემშვენიერა. და დემოგრაფიული ვითარებაც მნიშვნელოვნად გამოსწორდა.ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, თაღლითების „დოლი" გაიმართა გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე, ადამიანებს, რომლებიც სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ხელისუფლების სათავეში, იაფი ფულის შოვნის საშუალება მიეცათ, ქართული მიწა ყიდვა-გაყიდვის საგნად აქციეს. გარდაბნის რაიონს ჩამოართვეს საკურორტო ზონა (კოჯორი, წავკისი, კიკეთი, ტაბახმელა და ა.შ) და თბილისს გადასცეს, რომ უფრო სარფიანად ევაჭრათ.

გარდაბნის რაიონის გამგებელი რომ გავხდი, პირველი მიწების საკითხით დავინტერესდი, დავიწყე დოკუმენტაციის მოძიება. ნაციონალების მმართველობის პერიოდში დაიწვა ახალსოფლის, საცხენისის და გამარჯვების საკრებულოს შენობა, განადგურდა დოკუმენტაცია და საკრებულოს ბეჭედი. 1993 წლის მიწის რეფორმა, რომელიც იუესაიდის პროგრამის ფარგლებში გაკეთდა, აღიწერა და დაურიგდა ხალხს მიწები შესაბამისი მოწმობებით, იყო უდიდესი თაღლითობა. ადამიანების გარკვეულმა ჯგუფმა, რაღაც მაქინაციებით გარკვეული გავლენები მოიპოვეს და სარგებელიც მიიღეს. შემდეგ მოდის 2005 წელი, როცა აუქციონის წესით დაიწყეს მიწების გაყიდვა, ეს იყო მოსახლეობის ძარცვა, რადგან მათი გაუთვითცნობიერებლობით ისარგებლეს. დავინტერესდი, რატომ ირეგისტრირებდა ხალხი 2013 წელს იმ მიწებს, რომლებზეც 1993–94 წლებში ან 2005 წელს იყო გაცემული მიღება-ჩაბარების აქტები. ვისარგებლე საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან ჩემი ურთიერთობით და გამოვითხოვე ამ ხალხის ქვეყნიდან გასვლის შესახებ ინფორმაცია, მათი უმეტესობა იმ პერიოდში, როცა მიღება-ჩაბარების აქტებია გაფორმებული, საქართველოში არ იმყოფებოდა. ხომ აშკარაა, რასთან გვაქვს საქმე.

— ბატონო გელა, ამ აღებ-მიცემობის „შემოქმედნი" ვინ იყვნენ?

— ეს ყიდვა-გაყიდვა თემურ ფეიქრიშვილის გამგებლობისა და საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში ხდებოდა. ფეიქრიშვილი შემდგომ გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატი იყო პარლამენტში. მას პირადად ვერ წავუყენებ ბრალდებას, რადგან ჯერ ერთი არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, მან ხომ შეიძლება ისიც თქვას, რომ არ იცოდა რა ხდებოდა ადგილობრივ სამსახურებში. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ, როცა გარდაბნის გაგებელი გავხდი, თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი და თანამშრომელთა უმეტესობა პრობაციონერი იყო.ე.ი. ჩაიდენდნენ რაიმეს, მისცემდნენ მათ პასუხისგებაში, მერე ან ჩერდებოდა ძიება, ანდა პირობით მსჯავრს გამოუტანდნენ, ეს ხალხი აგრძელებდა მუშაობას და ბუნებრივია, ხელმძღვანელობის მონა-მორჩილი იყო, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა სამსახურს, რომ საარსებო წყარო არ დაეკარგა. სხვათა შორის, ეს ვითარება დღესაც გრძელდება, არა სამსახური, არა შემოსავალი, დასაქმების ძირითადი წყარო თითზე ჩამოსათვლელი საბიუჯეტო ორგანიზაციებია. გარდაბნის რაიონი, რომელიც ბოსტნეულით ამარაგებდა მარტო საქართველოს კი არა, საბჭოთა კავშირის რიგ ქალაქებსაც, დღეს მესაქონლეობაზეა გადასული და ამასაც ვერ ახერხებს, რადგან სოფლებს საძოვრები აღარ აქვს, გაუყიდეს. ზოგი ტერიტორია4–5-ჯერაა გადაყიდული, მათ შორის უცხოტომელებზე, რომელთაც ახლა კეთილსინდისიერი შემძენები ჰქვიათ. კომუნისტები ძალიან რაციონალურად უდგებოდნენ მიწის საკითხს, ნაყოფიერი ნიადაგს სახნავ-სათესის კატეგორია ჰქონდა მინიჭებული, ეწერი ნიადაგები კი საძოვრებად იყო დატოვებული. როდესაც ავადსახსენებელი მიწის რეფორმა ჩატარდა, დაიშალა მეურნეობები, მათმა ყოფილმა ხელმძღვანელობამ უზარმაზარი ფართობები ჩაიგდეს ხელში და შემგომ მისი გაყიდვა დაიწყეს, აღარავინ დაინტერესდა რა კატეგორიის მიწები იყო. აღმოჩნდა, რომ ეს ეწერებიც, ანუ საძოვრები სახნავ-სათესის კატეგორიაში ჰქონდათ გაყვანილი და გასაყიდად გატანილი.

სოფელ ქესალოში კურიოზული ფაქტი აღმოვაჩინეთ, თუ დაინტერესდებით, ქესალოელები გაჩვენებენ ამ დოცუმენტს. მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი თითო კომლს 1500 კვ.მ მიწას ჩუქნის. პრეზიდენტის ხელმოწერილ და ბეჭედდარტყმულ დოკუმენტებს თავის მხრივ ამოწმებს გარდაბნის ნოტარიუსი, გეკითხებით, ეს რას ნიშნავს? მოსახლეობას ვითომ გაუმარტივეს საქმე და უთხრეს, სათითაოდ რომ არ გადაიხადოთ ნოტარიალური მომსახურების თანხა, გაერთიანდით 10–10, 20–20 კაცი, ერთს მიეცით მინდობილობა,

6 გვ. →

საქართველომ ხელახლა უნდა აღმოაჩინოს საკუთარი თავი კავკასიაში

4 გვ.

— ბატონო მერაბ, საქართველო რეგიონალური ცენტრი იყო, თუმცა, ეს ფუნქცია დიდი ხანია დავკარგეთ. რით აჰხსნით ყოველივეს? კავკასიელები ტრადიციებს, ეროვნულ იდენტობას ინარჩუნებენ. ჩვენ ამ იდენტობას ვკარგავთ...

— ადამიანის უფლებების დაცვა თანამედროვე მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანესია, მაგრამ იგი არსად და არასდროს უზნეობასთან ასოცირებული არ ყოფილა. თქვენ, რა საფრთხეზეც ამბობთ, ეს საგანგაშოა. ძალიან გაგვიგრძელდა, გაგვიძნელდა დუღილის, საზოგადოებად ჩამოყალიბების პროცესი. ჩვენ ვართ პატრიოტები, გვიყვარს ჩვენი სამშობლო, მაგრამ ვერ გავხდით ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები. პატრიოტი მოქალაქე უკვე პასუხისმგებლობაა. ჩვენ ამ სამყაროში და არც რეგიონში მარტო არ ვართ. ჩვენ გვიყურებენ, თვალს გვადევნებენ. ფეხებზე დაკიდებით **თაგუნასავით არ დაგვემართოს.**

— არ ვიცი მსოფლიოში განვითარებული სახელმწიფო, მათ შორის, ევროპული, რომელიც უარს ამბობს საკუთრივ ევროპულზე, ევროპის წიაღში საკუთარ ნაციონალობაზე. მრავალმა ქვეყანამ საკუთარი ვალუტა არ დათმო მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ევროკავშირი. ევროს გვერდით ვითარდება და ფუნქციონირებს ეროვნული ვალუტებიც. ევროპულობა არ უნდა განხორციელდეს საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და ფესვების ხარჯზე. ჩვენ, ევროპის ევროპელი ვერ გავხდებით, მაგრამ ევროპული რენესანსი დგას ქართულ რენესანსზე. თუნდაც, ევროკავშირის იდეა — ეს ქართული იდეაა, რომელიც ქართული პირველი ემიგრაციული ტალღის წიაღში იშვა. პირველი პროექტი ქართველების მიერ შეიქმნა.

— ბატონო მერაბ, თქვენ, კავკასიელ ხალხებს ხვდებოდით, რა განწყობებია მათში ქართველების მიმართ?

გამომდინარე, რასაც ქართველობა ერქვა. ქართველობა არ იყო ფუჭი, ეს მისაღები იყო, მათ შორის, აფხაზებისთვის, რომლებიც თავიანთ სამშობლოს მხოლოდ აფხაზეთში ხედავენ. სხვა სამშობლო აფხაზებს არ აქვთ. ვერავინ ვერ გვაჩვენებს სხვა სამშობლოს ვიდრე ეს გახლავთ საქართველო და მისი ნაწილი აფხაზეთი. აქ მოხდა აფხაზეთის ფორმირება, ისინი ჩვენი მოქალაქეები და ქვეყნის შვილები არიან. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ პირდაპირ დიალოგს, აფხაზურ საზოგადოებასთან, წინ არაფერი დაუდგება. ბოლო პერიოდის პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში ვერ ვხედავდი ამ მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯს. არსებობს ფორმატები, ლამის მთელი მსოფლიო არის ამაში ჩართული, მაგრამ არა ქართველი და აფხაზი. არადა, ქართული სახელმწიფო იმთავითვე იყო ქართულ-აფხაზური. აფხაზურის გარეშე ქართული სახელმწიფო, გარკვეულწილად, კარგავს თავის ფუნქციას. ამი-

ჩვენი სამშობლო განადგურდება. ასეთმა დამოკიდებულებამ ეროვნული იდეის მიმართ ნიჰილიზმი გამოიწვია, რაც იმით დამთავრდა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ქვეყნიდან განდევნეს. ასევე, ვერ ავლაგმეთ აფხაზეთის ომი, რომელიც აბსოლუტურად, ანტიქართული იყო და ეს იმაში გავცვალეთ რომ გავიძახოდით: ახლა, დავსჯით აფხაზებს, ავიღებთ სოხუმსო. რომელი სოხუმის აღებაზეა საუბარი, აგერ ყურის ძირში ქართული მიწები ვერ აგვითვისებია. ჩვენ თუ მიწების, ტერიტორიების ათვისება გვინდა, ვაჩვენოთ ყველას, რომ ჩვენს ტერიტორიებს ისე გავანაშენებთ როგორც ეს თანამედროვე ქართველს ეკადრება. რაც შეეხება აფხაზეთს, ჩვენ სოხუმი, გაგრა და ტერიტორიები კი არ უნდა დავიბრუნოთ, არამედ აფხაზები როგორც ერი, ნაცია.

— აშკარად ავცდით მთავარ გზას, ამასობაში ჩვენც უგნური

— ცალსახად შემიძლია გიპასუხოთ, რომ მუხტი დადებითია. თუნდაც, ახლა, ანაკლიაში გვყავდა მთელი კავკასიის მწერლობა, აფხაზიც კი ჩამოვიდა სოხუმიდან. საქართველოს მიმართ დღესაც არსებობს მოწიწება, ამაღლებული დამოკიდებულება, მოლოდინი იმისა, რომ საქართველოში ახალი მოდელი შეიქმნება.

— ბოლოს, აფხაზეთზეც მინდა გკითხოთ, როგორ შევცვალოთ სიტუაცია, აფხაზებთან მიმართებაში, პოზიტივისკენ?

— ცხადია, რომ მემკვიდრეობა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის თვალსაზრისით, უმძიმესია, მაგრამ არა გამოუვალი მხოლოდდამხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავიაზრებთ რეალურად რა მოხდა. რეალურად კი მოხდა ის, რომ საქართველომ უარი თქვა თავის ნაწილზე. საქართველო აზროვნებდა და მართავდა ქვეყანას არა ძალისმიერი, არამედ იმ დიდი მორალური კოდექსიდან ტომ, საქართველოში აფხაზური საზოგადოების ჰარმონიული განვითარება უმნიშვნელოვანესია. ამ მიმართულებით აფხაზებთან პირდაპირ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს. მეიმედება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ძვრები, პოზიტივი, რაც ზურაბ ხონელიძის მოღვაწეობამ შემოიტანა. ამ საკითხებში უშუალოდ ვარ ჩართული. სოხუმის უნივერსიტეტთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს და მინდა, იგი, ძლიერი იყოს.

სოხუმის უნივერსიტეტს პირდაპირ ეკუთვნის, ევალება საკუთარ თავში ძალა, რესურსი იპოვოს, რათა აფხაზებთან კონტაქტი დაამყაროს და პოზიტიური ურთიერთობის პრეცედენტი შექმნას, რასაც ბატონი ზურაბი მჯერა, აუცილებლად შეძლებს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საქართველოში ჩამოსული არაბები მიიჩნევენ, რომ მათი წინაპრები 300 წელი აშენებდნენ თბილისს და ამ ქვეყანაში გარკვეული პრივილეგიები უნდა ჰქონდეთ

5 გვ.

ის გაიფორმებს და თქვენც ისარგებლებთო. ბევრმა არც იცის, სად არის მისი კუთვნილი მიწა, ჩემი ინფორმაციით, სეზონზე გარკვეულ თანხად აქირავებენ ამ ფართობებს მათ შორის მფლობელებზე, თუმცა გადახდა ოფიციალურად არსად ფიქსირდება, ანუ გადასახადები იმალება. ვინც ამას აკეთებდა, ამ ხალხის 70%, ნაცმოძრაობიდან „ქართულ ოცნებაში“ გადაპორტირებული პერსონები, ახლადარჩეული საკრებულოს წევრი გახდა, ახლა, როგორც ოპოზიციონერ დეპუტატს, ისე მომიწევს მათთან ერთად მუშაობა.

ჩემთან დაპირისპირებული დეპუტატების გარკვეული ნაწილი პრივილეგირებული ფენა იყო, ნაციონალების მმართველობის პერიოდში რამდენიმე მოწვევის საკრებულოს წევრები გახლდნენ, მიწის დიდ ფართობებსაც ფლობდნენ. დღეს აღმოაჩენთ, რომ ეს მიწები უცხოელებზე, ჩინელებზე, ინდოელებზე და ა.შ. აქვთ გასხვისებული, საკუთარ მეზობლებს წაართვეს მიწა და უცხოტომელებზე გაყიდეს და დღეს ისევ ქვეყნის მართვაზე აქვთ პრეტენზია. ესენი არიან საცოდავი ადამიანები და რატომ — კითხვა ისმება, ღალატის პატიება თუ შეიძლება. როდესაც ადამიანი ჩემს მიმართ უკადრებელს ჩაიდენს, ამას ღალატს ვერ დავარქმევ, ეს შეცდომად ან გადაცდომად შეიძლება ჩავთვალოთ, შეიძლება ვაპატიო, ან საერთოდ დავივიწყო. როცა საქმე სახელმწიფო ინტერესებს ეხება, ეს ქმედებაა ღალატი და მისი პატიება დაუშვებელია. ეს ადამიანები საცოდავები იმიტომ არიან, რომ უპატიებელი ცოდვა აქვთ ჩადენილი.

— **თქვენ რა გამოსავალს გვთავაზობთ?**

— ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ შექმნა საადგილმამულო ბანკი, მაგრამ დღეს ამის გამკეთებელი არავინაა, ყველა მოსახლეობის ძარცვაზეა გადასული. აუცილებელია მიწა, როგორც ეროვნული ფასეულობა სახელმწიფო გამგებლობაში დარჩეს, მაგრამ მასზე შეუზღუდავი უფლება ჰქონდეს იმ ხალხს, ვისაც მისი გამოყენება შეუძლია და სურს. წარადგინონ მათ ბიზნესგეგმა, გადასცენ სარგებლობაში სასურველი ფართობი, იყოს გარკვეული გადასახადი და მოიყვანოს მოსავალი. მემკვიდრეობითაც უნდა გადადიოდეს ეს უფლება, თუ დარგს ანვითარებს ეს ოჯახი, მაგრამ ეს უნდა იყოს მხოლოდ სარგებლობის უფლება, გაყიდვა-გასხვისების უფლების გარეშე. გლეხმა ნორმალურად რომ აწარმოოს ფერმერული მეურნეობა, 10 ჰა მიწა მაინც უნდა ჰქონდეს, 8 ჰა მთლიანად აუნაზღაურებს გაწეულ შრომას, შემოსავლის ნაწილსაც მისცემს, ხოლო დარჩენილი 2 ჰა სარეზერვო ფონდი იქნება, რომელიც ან ჭარბი მოგების სახით წავა, ანდა მოუსავლიანობის პერიოდში მდგომარეობას დაუბალანსებს. ამ შემთხვევაში აღარ მოუწევთ ისეთი დაპირებების გაცემა, რომლის შესრულებაც მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დაპირებებს ვიღებთ, თუმცა საბოლოო ჯამში ხალხი სულ უფრო ვღატაკდებით, სამაგიეროდ, პარლამენტში გვაქვს მილიონერების „ცვენა“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

როდის და სად ამოხეთქავს ვულკანი, სახელად საომარი ვითარება?

გავლენიანი პოლიტოლოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტზე დონალდ ტრამპზე შეტევა ახალ ფაზაში გადავიდა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ტრამპს ქვეყნის შიგნით. თითქმის ათი თვეა, შინაური მოწინააღმდეგეების მოგერიება უხდება და, ფაქტობრივად, სრულფასოვანი მუშაობისთვის ლამის ვერ იცლის. ტრამპის მოწინააღმდეგეები ყველანაირ ხერხს მიმართავენ თავიანთი პრეზიდენტის დასაკნინებლად.

გასულ კვირას თითქმის ერთდროულად სხვადასხვა ქალაქებში დონალდ ტრამპი მკაცრად გააკრიტიკეს მისმა წინამორბედებმა — ჯორჯ ბუშ-უმცროსმა და ბარაქ ობამამ. აღსანიშნავია, რომ ბუში ტრამპის თანაპარტიელი რესპუბლიკელია. თუ ობამა ქარაგმულად, ზოგადად საუბრობდა, ბუშმა პირდაპირ მიმართა ტრამპს: „...ბატონო პრეზიდენტო, თქვენი პოლიტიკა გადამდები მძიმე დაავადებაა, რომელიც ხალხისთვის ზარალის მომტანია“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ობამა ზოგადად საუბრობდა, მაგრამ ჩანდა, რომ ტრამპს მიმართავდა. „იმის ნაცვლად, რომ გატარებულ პოლიტიკაში ჩვენი ქვეყნის ფასეულობები ასახონ, პირიქით აკეთებენ, რითაც ხალხი ზარალდება“, — განაცხადა ობამამ. მისი გამოსვლის შემდეგ პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ობამა პოლიტიკიდან არ წასულა და, როგორც ჩანს, არც აპირებს.

სამყაროში ერთ-ერთ უდიდეს კინოფაბრიკაში, ჰოლივუდში აგორებულმა სკანდალმა, შეიძლება ითქვას, მსოფლიო საზოგადოება აალაპარაკა. ჰოლივუდის ყველაზე გავლენიან პროდიუსერს ჰარვი ვაინშტეინს, რომლის დაფინანსებულ 80 ფილმს სხვადასხვა პრესტიჟული პრიზები, მათ შორის, „ოსკარი“ აქვთ მოპოვებული, სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ. ორმა განაცხადა გაუპატიურების შესახებ. 40-ზე მეტ მომჩივანს შორის ანჯელინა ჯოლიც გახლავთ (აღსანიშნავია, რომ მომჩივანთა შორის ქართველი ქალიც არის). უნდა ითქვას, რომ მომჩივნები 5, 10 და 20 წლის წინანდელ შემთხვევებს იხსენებენ. ენაკვიმატი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ, თუ ვინმეს უნდა თავისი „ვარსკვლავური“ სტატუსი დაამტკიცოს, საქვეყნოდ უნდა განაცხადოს, რომ რამდენიმე წლის წინ მასზე სექსუალურად ძალადობდნენო. ჟურნალისტების ნაწილი აცხადებს, აშშ-ში ხალხს პოლიტიკა მოსწყინდა და ამიტომაც ააგორეს სექსუალური სკამდალიო. თუმცა იმასაც ამბობენ, მომჩივანთა მონათხრობი არავის შეუმოწმებია და ისე ადანაშაულებენ ვაინშტეინს, რითაც დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმპციაო.

ამასობაში გამოჩნდა ერთი ქალბატონი, რომელიც უფრო შორს წავიდა და პირდაპირ დონალდ ტრამპი დაადანაშაულა — რამდენიმე წლის წინ გამაუპატიურაო. სექსუალურ სკანდალს პოლიტიკოსების ნაწილი ხშირად იყენებს თავისი კონკურენტის წინააღმდეგ. გავიხსენოთ თუნდაც ტოსკანი, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტობაზე უნდა ეყარა კენჭი, მაგრამ მსგავსი ცრუ სკანდალის გამო საერთოდ ჩამოაშორეს პოლიტიკას.

როგორც ირკვევა, ვაინშტეინმა შარშან რესპუბლიკურ პარტიას საპრეზიდენტო არჩევნების წინ სოლიდური თანხა შესწირა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სწორედ ეს არ აპატიეს და ამიტომაც აუგორეს სკანდალი. გასაკვირი არც არაფერია, რადგან ამერიკის პოლიტიკური საზოგადოების ნაწილი პირდაპირ აცხადებს, რომ ეძებენ ნებისმიერ საბაბს, რომელიც ტრამპის იმპიჩმენტის მიზეზი გახდება. ექსპერტები აცხადებენ, რომ აღნიშნული სკანდალი ააგორეს არა მხოლოდ ვაინშტეინის, არამედ დონალდ ტრამპის წინააღმდეგო.

გასულ კვირას ამერიკულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც მიმომხილველებმა სენსაციად მონათლეს. როგორც ირკვევა, ამ დღეებში გამოქვეყნდება საუკუნის — აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის — მკვლელობის მასალები. დონალდ ტრამპის განცხადებით, იგი წინააღმდეგი არ არის, გამოაშკარავდეს თითქმის 55 წლის განმავლობაში ტაბუდადებული მასალები. წინასწარ ძნელი სათქმელია, გავიგებთ რაიმე ახალს კენედის მკვლელობაზე თუ კვლავ მითიურ ვარაუდებს ვნახავთ, მაგრამ, უდავოდ საინტერესო მოვლენაა ნახევარსაუკუნოვანი საიდუმლო დოკუმენტების გაცნობა.

აგერ უკვე ორ კვირაზე მეტია, მსოფლიო თავს იმტვრევს და ვერავის გაუგია, გამოაცხადა თუ არა კატალონიამ დამოუკიდებლობა. 1 ოქტომბერს გამართული რეფერენდუმის შემდეგ კატალონიის მმართველს კარლოს პუჩდემონს არ დაუკონკრეტებია, თუ რას აპირებს მომავალში. ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაწესებული ყველა ვადა, როდესაც უნდა წარმოედგინა სამოქმედო გეგმა, ამოიწურა. კატალონიელებს ევროკავშირის იმედი ჰქონდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ევროკავშირში განაცხადეს, რომ ბრიუსელი ვერ იქნება შუამავალი კატალონიასა და ესპანეთს შორის, რადგან ეს მათი შინაური საქმეა. ამასთან, რეფერენდუმის გამართვას ევროკავშირი უკანონოდ მიიჩნევს.

ბარსელონის ქუჩებში კი გამოსვლებია. მათი ერთ-ერთი მოთხოვნაა, რეფერენდუმის ინიციატორების გათავისუფლება, რომლებიც ორი კვირის წინ დააპატიმრეს. ამასთან, მოსახლეობა არაპირებს, დაემორჩილოს ესპანეთის ხელისუფლებას, მათ შორის, ისინიც, რომლებიც კატალონიის დამოუკიდებლობას არ ემხრობოდნენ. კარლოს პუჩდემონი, როგორც ამბობენ, ორ წყალს შუა არის — იგი ან თავისი ნებით უნდა გადადგეს, ან თავად უხელმძღვანელოს დაუმორჩილებლობის აქციებსო, აცხადებენ პოლიტოლოგები.

გასულ კვირას საბოლოოდ გადაწყდა, რომ ევროკავშირი აღარ დააფინანსებს თურქეთს 5 მილიარდი ევროთი თავიანთ ორგანიზაციაში გაწევრიანების მომზადებისთვის. ამით, ფაქტობრივად, უარი უთხრეს თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანებაზე. თუმცა, დევნილთა შესაჩერებლად 3 მილიარდს გადაუხდიან. თურქეთმა, თავის მხრივ, ევროკავშირი არათანმიმდევრულ პოლიტიკის განხორციელებაში დაადანაშაულა, მაგრამ, პრაქტიკულად, რა პასუხს გასცემს, მომავალი გვიჩვენებს. გამორიცხული არ არის, თურქეთმა შეჩერების ნაცვლად დევნილებს, ევროპისკენ გაუხსნას გზა, რაც, შესაძლოა, ევროპისთვის კატასტროფული აღმოჩნდეს.

სირიაში და ერაყში ტერორიზმთან ბრძოლა, სავარაუდოდ, დასასრულს უახლოვდება. ამ ფონზე სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი რექს ტილერსონი ახლო აღმოსავლეთს ეწვია. ერაყისა და საუდის არაბეთის ხელისუფლებას სთხოვა, ირანმა თავისი ჯარები გაიყვანოს ერაყიდან და ერთობლივი ძალით იმოქმედონ სპარსელთა წინააღმდეგ. ამასთან, იგი შეხვდა ყატარის ხელისუფლებას, რათა შეარიგოს საუდის არაბეთთან. თუმცა მისი ეს მცდელობა უნაყოფო გამოდგა. აქვე სათქმელია, რომ აშშ-მ აღიარა, სირიაში ქიმიურ იარაღს ტერორისტები იყენებდნენ და არა სირიის სამთავრობო ჯარები, როგორც აქამდე ამბობდნენ.

ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, ჩეხეთში, ავსტრიაში ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში განსხვავებული შეხედულებების პოლიტიკური ძალები მოვიდნენ. ამასთან, იტალიის ლამბროლის და ვენიტას რეგიონში ფართო ავტონომიის მოთხოვნით გაიმართა რეფერენდუმი. ყოველივე ეს ევროკავშირისთვის ახალი თავსატეხია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი სტრუქტურულ ცვლილებებს საჭიროებს, რათა შეინარჩუნოს ერთიანობა.

ახლო აღმოსავლეთში, შესაძლოა, მალე დამშვიდდეს სიტუაცია, მაგრამ როდის და სად ამოხეთქავს ვულკანი, სახელად საომარი ვითარება, ძნელი სათქმელია.

გია ბურდული
551 71 27 07

ლალი ბერძენიშვილი:

საკაშვილის რეფორმის კრიტიკის გამო, ჩემი გასამართლება 12 წელიწადია გრძელდება

საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის“ პრეზიდენტი ერთ-ერთი მათგანია, ვინც საკაშვილის ხელისუფლების დროს, განათლების სისტემაში ჩატარებული რეფორმის კრიტიკა გაბედა, რასაც სკოლის დირექტორის თანამდებობიდან მისი სასწრაფო გათავისუფლება მოჰყვა. ლალი ბერძენიშვილის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, განსხვავებული აზრის გამო იდევნებოდა და ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, ეს პროცესი დღემდე გრძელდება. რატომ ვერ მოახერხა ნობელის პრემიის ლაურეატების საქართველოში ჩამოყვანა, ვინ და რატომ უქმნის სასკოლო ოლიმპიადების სისტემაში მომუშავე ერთ ორგანიზაციას „სასათბურე პირობებს“, ხოლო მეორეს ხელოვნურ ბარიერებს? ამ და სხვა თემებზე საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის“ პრეზიდენტი ლალი ბერძენიშვილი გვესაუბრა:

— ყველაფერი 2004 წელს დაიწყო, როცა რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ განათლების ახალი კანონის პროექტი გამოაქვეყნა. ამ დროს, სკოლის დირექტორი გახლდით. კოლეგებთან და იურისტებთან ერთად, თბილისის დირექტორების შეკრება მოვაწყეთ, სადაც არგუმენტირებულად დავასაბუთეთ, თუ რა ზიანს მოუტანდა ახალი კანონი განათლების სისტემას და მთლიანად ქვეყანას. დირექტორების შეკრებები მთელი ზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა და პარალელურად, მე და ჩემი კოლეგები მედიას ინტერვიუებს ვაძლევდით. იმ დროს, განათლების რეფორმასთან დაპირისპირება თითქმის განაჩენის ტოლფასი იყო, ამიტომ 2005 წლის მარტში სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გამათავისუფლეს. ჩემთან ერთად, რამდენიმე სკოლის დირექტორი მოხსნეს.

— **როგორც მახსოვს, განათლების ახალი კანონის ამოქმედებისთანავე, ყველა დირექტორს თანამდებობა დაატოვებინეს და მოვალეობის შემსრულებლად გადაიყვანეს.**

— დიახ, ასე იყო. ბევრი საერთოდ გაუშვეს სკოლიდან. ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლება ისეთი უხეში კანონდარღვევით მოხდა, რომ მაშინვე სარჩელი შევიტანე და სასამართლომ ჩემი თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. 2005 წლის 18 ივლისის საღამოს, სამუშაო საათების დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, კახა ლომაიამ ჩემი აღდგენის ბრძანებას ხელი მოაწერა და 19 ივლისს, დილის 9 საათზე ახალი ბრძანებით გამათავისუფლა. ესეც არ მაკმარა და „მეტი დამაჯერებლობისთვის“ კიდევ უკვე არარსებული სკოლის არარსებული დირექტორის თანამდებობიდან მომხსნა. ეს დევნა უკვე კურიოზულ მდგომარეობამდე მიდიოდა, თუმცა, მე ის უფრო მაწუხებს, რომ წინა ხელისუფლების მიერ განსხვავებული აზრის თუ პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნილი ადამიანები დღესაც იდევნებიან და ამას დასასრული არ უჩანს.

— **ამჟამად ვინ გდევნით და ეს დევნა რაში გამოიხატება?**

— რა თქმა უნდა, ღიად აღარავინ გვდევნის, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებისთვისაც მიუღებლები აღმოვჩნდით. ზოგჯერ მწარედ ვხუმრობ, რომ ნიურბერგის პროცესი, რომელმაც ფაშისტები გაასამართლა,10 თვესა და 10 დღეში დამთავრდა და ჩემი და ჩემი რამდენიმე კოლეგის გასამართლება თორმეტი წელი გრძელდება, რადგან განათლების სამინისტროში თანამდებობებზე ისევ წინა ხელისუფლების კადრები არიან. შარშან, საქართველოს მთავრობას გავუგზავნე განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტი „მსოფლიოს მეცნიერები მშვიდობისა და მდგრადი ცოდნისათვის“. ამ პროექტს ახალგაზრდა ქართველი მეცნიერებისა და სტუდენტების მხარდასაჭერად, 15-მდე ნობელის პრემიის ლაურეატი, მათ შორის ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ჯიმი კარტერი უნდა ჩამოეყვანა. უნდა ჩამოსულიყო ნობელის პრემიის ლაურეატი ჯორჯ ფიცჯერალდ სმუტი, რომელიც თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი და საფრანგეთისა და ბერკლის კოსმოსური ცენტრების დირექტორი გახლავთ. ალან ჰიგერი, რომელსაც აქვს უნიკალური გამოკვლევები განახლებადი ენერგიების სფეროში და ა.შ. ჩვენ ქვეყანაში ლექციები უნდა წაეკითხათ ადამიანებს, რომელთა გონებრივმა შესაძლებლობებმა მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვალა. ისინი შეხვდებოდნენ ახალგაზრდა მეცნიერებს, ქვეყნის საგანმანათლებლო და სამთავრობო სტრუქტურებს, გაეცნობოდნენ საქართველოში ზოგადი და უმაღლესი განათლების, ასევე მეცნიერების მდგომარეობას და თავიანთ საექსპერტო დასკვნებს დადებდნენ. ნობელიანტები გვპირდებოდნენ, რომ ქართველ ახალგაზრდებს თავიანთ უნივერსიტეტებში სწავლისა და მეცნიერული კვლევების გაგრძელების საშუალებას მისცემდნენ, მაგრამ განათლების სამინისტრო ვერ დავაინტერესეთ და პროექტი ჩაიშალა. თუ გახსოვთ, საკაშვილმა ერთი, თურქი ნობელიანტი ჩამოიყვანა და ქვეყანა შეძრა, ლურეატი ჩამოვიყვანეო და ამ მთავრობამ 15-მდე ნობელისტის მასპინძლობის შანსი გაუშვა ხელიდან. თან როდის? საარჩევნო პერიოდში, როცა ამით კარგი პიარის გაკეთება შეიძლებოდა..

— **თქვენი აზრით, ამ პროექტის ჩავარდნაც დევნის ნაწილია?**

— ასე ვფიქრობ, რადგან განათლების პოლიტიკა განსხვავებული აზრის ადამიანების მიმართ არ შეცვლილა. თუმცა, შეიძლება კიდევ სხვა მიზეზებიც იყოს, რომლებზეც ქვემოთ მოგახსენებთ. ხსენებული პროექტის გარდა, განათლების სამინისტროს ექვსი საერთაშორისო პროექტი შევთავაზე. აქედან რამდენიმე ყველაზე აქტუალური პრობლემების აღმოფხვრაზე იყო ორიენტირებული. მიმიწვიეს განათლების სამინისტროში, დამპირდნენ, პროექტებს განვიხილავთო და ამით ყველაფერი დამთავრდა. ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსმა მითხრა, ყველა ოლიმპიადასთან მიმართებაში საერთო სტანდარტი უნდა შემუშავდეს და ეს დროს მოითხოვსო. ეს დრო კი არ დადგა და არც დადგება იმიტომ, რომ ამის ნება არ არსებობს. ეს თუ დევნა არაა, გამოდის, რომ სამინისტროს თანამშრომლების უმეტესობას კრეატულობა აკლია, საქმის მიმართ გულგრილობას იჩენს, ვერ ბედავს საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმას და სტერეოტიპებით აზროვნებს. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც საქვეყნო საქმე პიროვნულ ჭრილში გადააქვთ. ამაში საბოლოოდ დამარწმუნა პრობლემებმა, რომლებიც 2003 წლიდან მოყოლებული ექმნება საქართველოში მსოფლიო მათემატიკური კონკურსს „კენგურუ“. ჩვენს ქვეყანაში უამრავი კონკურსი ტარდება, მაგრამ „კენგურუს“ გარდა, საერთაშორისო სტატუსის მქონე საგნობრივი კონკურსი არც ერთია. მსოფლიოს 80 ქვეყნის განათლების სამინისტრო აღიარებს, რომ „კენგურუ“ ბავშვებისათვის ყველაზე სახალისო, ყველაზე საინტერესო და სარგებლიანი კონკურსია, მაგრამ საქართველოს განათლების სისტემის მესვეურებმა ვერ აღიარეს, იმიტომ, რომ საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაცია „კენგურუ საზღვრებს გარეშე“ წარმომადგენელი მე ვარ — ადამიანი, რომელიც საკაშვილის რეფორმის კრიტიკის გამო დღემდე ისჯება.

— **ყველამ ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, სასკოლო ოლიმპიადები წარმატებულ ბიზნესად იქცა, სადაც მონოპოლია კახა ბენდუქიძის, გიული ალასანიასა და სანდრა რულოვსის სახელებთან დაკავშირებულ რამდენიმე კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციას ჰქონდა. დღეს ამ მიმართულებით რა მდგომარეობაა?**

— როგორც ყველას, მეც ისე გამიგია, რომ „კინგსი“ ბენდუქიძის ფინანსებით, ხოლო „ევერესტი“ ქალბატონი რულოვსის პატრონაჟით დაარსდა. ამ სეგმენტში ისევე, როგორც ყოფილი ხელისუფლების დროს, დღესაც არაპირდაპირი გზით ხდება რამდენიმე ორგანიზაციის ლობირება.

აქვე გეტყვით, რომ ჩვენ მთავარი — ბავშვების და მათი მშობლების მხარდაჭერა გვაქვს. სწორედ მათ წამოაყენეს წინადადება, რომ შეიქმნას „კენგურუს დაცვისა“ და „ყოფილი კენგურუელების“ კლუბები. ჩვენ მხარს გვიჭერს საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოება და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ვაპირებთ, რომ 20-დან 30 ოქტომბრამდე დიდი ღონისძიება ჩავატაროთ და მინისტრს დავანახოთ, რომ საზოგადოებას ამ უნიკალური კონკურსის ბედი აწუხებს და ვაშლების გარდა, განათლების სისტემას სხვა პრობლემებიც აქვს.

— **ვატყობ, რომ ვაშლების თემას ვერ ავცდებით..**

— ვაშლებთან დაკავშირებით, მხოლოდ ის მაინტერესებს ვინ, სად და როდის რეცხავს ამდენი რაოდენობის ვაშლს? თუ ჯანსაღი ცხოვრების წესის „ქოლგის ქვეშ“, თავად ვარღვევთ საკვები პროდუქტის მოხმარების ჰიგიენურ ნორმებს? ზოგადად, განათლების მინისტრის მიერ შემოთავაზებული და სიახლეებად წოდებული რომელიმე მიმართულება — სასკოლო ბუფეტში ზოგიერთი პროდუქტის აკრძალვა, ექსკურსიების ფორმატში ცვლილებების შეტანა, პირველ კლასებში სამაგიდო თამაშების დანერგვა და ა.შ. ყველა

ეს ე.წ. სიახლე სკოლების მესვეურთა ჩვეულებრივი საქმიანობის ისეთივე აუცილებელი ნაწილია, როგორც საკლასო მერხი და დაფა. ამიტომ სასწავლო წლის პირველ დღეს ამ ე.წ. სიახლეების ზარ-ზეიმით წარმოჩენა, ვფიქრობ უხერხულია. მინდა ბატონ ჯეჯელავას ვკითხო, ცოტა ზედმეტი ხომ არ მოუვიდა საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა? თუ ქოუჩინგის შედეგად დადუმებული საზოგადოების მდუმარებამ გაათამამა? 15 სექტემბრის საინფორმაციო გადაცემების ჩანაწერები რომ ვნახე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ვინც განათლების მინისტრის თანამდებობაზე ალექსანდრე ჯეჯელავას კანდიდატურა შეარჩია, ძალიან ჭკვიანი კაცია. როდესაც დღევანდელმა მთავრობამ ქვეყნის მართვა დაიწყო, პირველივე წლებში დაინახა, რომ საკაშვილის რეჟიმმა განათლების სისტემა ისეთ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მის რეალურად განვითარებას რამდენიმე ათეული წელი დაჭირდებოდა. ამას დაემატა მარგველაშვილისა და სანიკიძის სუსტი მინისტრობის პერიოდში გამეფებული სტაგნაცია. რაც შეეხება დონორთა დახმარებებს, ყველასათვის ცნობილია, რომ ქვეყანაში შემოსულ გრანტებს თავისი დოგმატური პროგრამები მოჰყვება, რომელთა განხორციელება რეალურად, არ იწვევს განათლების ხარისხის მნიშვნელოვან ამაღლებას. ამ პროგრამებით შემოთავაზებულ მიმართულებებსა და ფორმატებში მცირეოდენი გადახვევა და მათი წარმართვა სხვა სისტემის რეალურად განვითარების მიმართულებით, ძალიან რთულია. კიდევ უფრო რთულია ამ პროგრამების ეროვნული ღირებულებების კალაპოტში მოქცევა, რამეთუ ამ საქმესთან შეჭიდება მხოლოდ მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალულ ადამიანებს შეუძლიათ. სამწუხაროდ, განათლების სამინისტროს მუშაკთა დიდი ნაწილი მოკლებულია ყველა ამ უნარის ერთდროულად ფლობის ბედნიერებას. შეგახსენებთ, საერთაშორისო ორგანიზაცია თMშშ-ის 2011 წლის კვლევას, რომლის ერთ-ერთ ანგარიშში მითითებულია, რომ თუ საქართველოს განათლების სისტემის განვითარება ამ ტემპით გაგრძელდა, ქვეყანას მინიმუმ, 16 დაჭირდება, რომ საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს მიაღწიოს. ჩვენმა მინისტრმა თავისი პროგრამის პრეზენტაციაზე, რომელსაც ელჩებიც ესწრებოდნენ, ბრძანა, 16 კი არა, 25 წელი დაჭირდებაო. მე კი მგონია, რომ 36 წელიც არ იქნება საკმარისი. ასეთი მძიმე მდგომარეობის გამო, სახელისუფლებო გუნდის წინაშე, დაპირებულ დროში განათლების სისტემის ფაქტობრივი განვითარება ეჭვქვეშ დადგა. ამიტომ განათლების მინისტრად დანიშნეს ადამიანი, რომელიც თავისი პროფესიული მონაცემებით, განათლების სფეროს სპეციალისტი არაა, სამაგიეროდ დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოდური პროფესიას – ქოუჩობას ფლობს. თანაც, ტრანსფორმაციული ქოუჩია და ამერიკის ერთ-ერთი პრესტიჟული ინსტიტუტის სერტიფიკატი აქვს.

– იქნებ, უკეთ აგვიხსნათ, რატომ არის ქოუჩის განათლების მინისტრად დანიშვნა ბრძნული გადაწყვეტილება. ქოუჩი პრობლემების მოგვარების რამე განსაკუთრებული უნარებს ფლობს?

– ვფიქრობ, რომ განათლების სისტემის არსებული პრობლემების მორევში, სწორედ რომ ქოუჩი მოახერხებდა საზოგადოების აქტივობის მშვიდ ფაზაში გადატანა და მნიშვნელოვანი პრობლემებიდან ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანას. ბატონმა ჯეჯელავამ ეს ფუნქცია გადასარევად შეასრულა.

– თქვენი სიტყვებით, გამოდის, რომ ქოუჩინგი საზოგადოების სწორად „დაბოლების“ ხელოვნებაა?

– არა, სინამდვილეში ეს არის ადამიანისთვის მოტივაციის ამაღლების, საკუთარ შესაძლებლობების რწმენისა და კარიერული ზრდისთვის ადამიანის განწყობის ხელოვნება, მაგრამ საქართველოში „დაბოლებისთვის“ გამოიყენეს. ჩვენთან ხომ ყველაფერი უკულმა ხდება? მერამდენე წელია განათლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით, არაფერი გაკეთებულა, თუმცა საზოგადოება დუმს. სწორედ ქოუჩით „შეფუთა“ ბატონმა ჯეჯელავამ ის ფაქტი, რომ შარშან გამოსაშვებ გამოცდებზე 12000-ზე მეტი მოსწავლე ჩაიჭრა. მედიასთან საუბრისას, მინისტრმა გერმანიის საგანმანათლებლო სისტემასთან არასწორი შედარება მოახდინა. როგორც სხვადასხვა მნიშვნელოვანი წილადების შედარება არ შეიძლება, ვიდრე საერთო მნიშვნელზე არ დავიყვანთ, ისევე შეუძლებელია საქართველოსა და გერმანიის საგანმანათლებლო სისტემების შედარება. ჯეჯელავას თქმით, გერმანიაში ახალგაზრდების მხოლოდ 30% იღებს ატესტატს, რაც სრული სიცრუეა. მინისტრს ან არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს ან ისევ ქოუჩინგს მიმართა. ვფიქრობ, რომ განათლების მინისტრს უფლება არ ჰქონდა, რომ 12803 ახალგაზრდისთვის ცხოვრების ვექტორის შეეცვალა და მომავალი განესაზღვრა. ბრძანა, რომ ჩაჭრილთა მაჩვენებელი ტრაგედია არ არის და წინა წლების მსგავსია, მაგრამ რა გააკეთა იმისთვის, რომ წინა წლების მსგავსი არ ყოფილიყო ან ჩაჭრის რეალური მიზეზები თუ გამოიკვლია? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ საზოგადოება ამასაც დუმილით შეხვდა. მასწავლებლებიც დადუმებულები არიან, მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი კრედიტქულების შემოტანამ მთავრობის მიმართ არსებული კმაყოფილება იმედგაცრუებით შეცვალა. პედაგოგები პირწმინდად მოტყუებული დარჩნენ, თუმცა ეს უფრო ვრცლად სასაუბრო თემაა და სხვა დროს გავაგრძელოთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

სამსონ სამჭკუაშვილის ბლოგი

ყოველთვის სამჭკუაშვილი კი არ ვიყავი — იყო დრო, ვფეხბურთელობდი და ერთ საფეხბურთო გუნდშიც ვთამაშობდი.

მწვრთნელი გვყავდა — ძალიან საინტერესო, მაგრამ ცოტათი ახირებული კაცი.

დაგვყოფდა ეს მწვრთნელი ძირითად და სათადარიგო შემადგენლობად და დავერეოდით ერთმანეთს

უცნაური ის იყო, რომ ეს ჩვენი პატივცემული ტრენერი წამწაუწუმ ცვლიდა შემადგენლობას — დღეს რომ ძირითად შემადგენლობაში იყავი, ხვალ სათადარიგოში გადაგისროდა, მერე იქიდან ისევ ძირითადში „დაგაწინაურებდა“, ძირითადიდან კვლავ დუბლებში დაგაბრუნებდა და ასე განუწყვეტლივ.

ისე მომამტვრიეს ფეხი და ისე დავამთავრე ჩემი საფეხბურთო კარიერა, ვერ გავიგე, სად ვიყავი — ძირითადში თუ სათადარიგოში.

რატომ გამახსენდა ეს ამბავი მაინცდამაინც ახლა, არჩევნების დამთავრებიდან ორიოდე დღეში?

რატომ გამახსენდა და იმიტომ, რომ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება რატომღაც ძალიან ჰგავს იმ ამბებს, რაც ჩემს საფეხბურთო კლუბში ხდებოდა.

მეჩვენება, რომ პოზიციად და ოპოზიციად დაყოფილი ეს პოლიტიკური პარტიები სინამდვილეში ერთი გუნდია, რომელსაც მწვრთნელი ორ ჯგუფად ყოფს ხოლმე და მერე ერთმანეთს მიუსევს — აქაოდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გვაქვს გამართული და,. აბა, თქვენ იცით, როგორ „გვიბალელშიკებთო“.

ხალხიც გულწრფელად „ბალელშიკობს“ ერთმანეთს თავგამეტებით დატაკებულ ორ გუნდს, რომლებიც, როგორც გითხარით, სინამდვილეში ერთი გუნდია და მწვრთნელიც ერთი ჰყავთ.

თუ რაღაც სერიოზული დაპირისპირება მართლა არსებობს მოთამაშეებს შორის, მხოლოდ ერთი რამის გამო — ყველას უნდა, სათადარიგო სკამიდან როგორმე ძირითად „სასტავში“ გადაინაცვლოს და ამიტომ ჭამენ და ხრავენ ერთმანეთს, მერე კი, როგორც კი საწადელს აისრულებენ, ყველანი ერთად მთელი მონდომებით ურტყამენ... საქართველოს კარში!

როგორც ჩანს, მხოლოდ ადგილობრივი მწვრთნელი კი არა, სხვა, უჩინარი და უხილავი მთავარი მწვრთნელიც არსებობს სადღაც შორს, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით და სწორედ ის აკონტროლებს და ის განსაზღვრავს მოთამაშეების გადაადგილება-გადანაცვლებას.

შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

ჰოდა, არც ამ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების „ფუტბალისტების“ გადანაცვლებით შეიცვლება რამე — დამიჯერეთ მე, სამსონ სამჭკუაშვილს, როგრც ყოფილ „ფუტბალისტს“, რომელმაც, როგორც გითხარით, ისე დაამთავრა სპორტული კარიერა, რომ დღემდე არ იცის, დუბლებში იყო თუ ძირითად „სასტავში“, როცა ფეხი მოტეხეს და მოედნიდან საკაცით გაიტანეს...

ზურაბ წერეთელი - „საქართველოს ისტორია“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე:

„უფალი ბრძანებს: და „აღვამაღლო რჩეული, ერისგან ჩემისა“... რომ გადავხედოთ ჩვენს წარსულს და ზოგადად კაცობრიობის ისტორიას, დავინახავთ, რომ უფალი მართლაც მეფობს, უფალი განაგებს ამ ცხოვრებას, უფალი აღამაღლებს ადამიანს, უფალი აღამაღლებს ერს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ვისაც გამოარჩევს, მას აკისრებს მეტ პასუხისმგებლობას.

უფალი გვილხენს მადლითა, როცა გვიგზავნის ზურაბისნაირ რჩეულს სულიერი და საზოგადო საქმეების აღსამაღლებლად...

ზურაბმა თავისი საკვირველი საქმეებით, გლობალიზაციის პროცესში მსოფლიოს ქართული სულის ქრისტიანული სიყვარული და ძალა დაანახვა... ზურაბს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე თავისი მოღვაწეობით... სანამ ასეთი დიდი სულები მოვლენ ჩვენს სამშობლოში, უფალი ჩვენთანაა...“

რედაქციისგან:

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილს, სადაც საუბარია უნიჭიერესი ხელოვანის, მსოფლიო დონის შემოქმედის ზურაბ წერეთელის მემორიალურ კომპლექსთან (საქართველოს ისტორია“) დაკავშირებულ პრობლემებზე, საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

იმ მკითხველისთვის, რომელსაც შეიძლება არ წაუკითხავს ეს მასალა, ხელახლა ვბეჭდავთ ფრაგმენტს წერილიდან:

„საქართველოს ისტორია“, რომლის დასაფინანსებლად 400 მილიონი დოლარი თვით ზურაბ წერეთელმა გაიღო, დასრულებულია, თუმცა მის სრულყოფილად ფუნქციონირებას ხელს ერთი გარემოება უშლის.

უკვე თითქმის ათი წელიწადია ბატონი ზურაბი ითხოვს, რომ ის ტერიტორია, სადაც მემორიალური კომპლექსია განთავსებული, კომპლექსს დაუკანონდეს.

ეს აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ მემორიალი საიმედოდ იყოს დაცული (ძეგლის ხელყოფის ვანდალური ფაქტები უკვე რამდენჯერმე დაფიქსირდა), ხელი შეეწყოს ძეგლის მუზეუმად განვითარებას, ექსპოზიციის ზონის გაშლას, სამუზეუმო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებას.

ბატონმა ზურაბმა ჯერ კიდევ 2007 წლის ივნისში მიმართა საქართველოს იმჟამინდელ მთავრობას ზემოთნახსენები თხოვნით, თუმცა საკითხი დღემდე არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან.

ძალიან სამწუხარო და დასაფიქრებელი ფაქტია, რომელსაც ძნელია ახსნა მოუძებნო.

ეს უნიკალური კომპლექსი დიდი ხანია შეიყვარა ქართველმა ხალხმა.

ის არ ეკუთვნის მხოლოდ ზურაბ წერეთელს, ის მთელი საქართველოს საკუთრებაა, მისი ისტორიის ერთგვარი განძთსაცავია და, ამდენად, სრულიად გაუგებარია, რა აბრკოლებს და რა უშლის ხელს იმ ერთადერთი სწორი და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, რომელითაც ამ დიდებულ კომპლექსს არსებობა და სიცოცხლე უნდა შეუნარჩუნდეს.

ზურაბ წერეთელს კი არა საქართველოს და ქართველ ხალხს ნუ დავაყვედრებთ და ნუ დავამადლით იმ რამდენიმე ჰექტარ მიწას, რომელზეც ბრინჯაოში ამეტყველებული საქართველოს ისტორიის ეს ბრწყინვალე ძეგლი დგას“.

ახლა კი გთავაზობთ იმ გამოხმაურებებს, რომლებიც „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილ პუბლიკაციას მოჰყვა.

ვახტანგ ხარჩილავა,
„საერთო გაზეთის“ მთ. რედაქტორი

ნათელა კობიაშვილი:

ზურაბ წერეთელი -„საქართველოს ისტორია“ - ყვენის მთაზე აზიდული უკვდავი ძეგლი სამშობლოსათვის

(ფრაგმენტი მონოგრაფიიდან „ზურაბ წერეთელი: ვქმენ, რაც შევიძელ, უკეთ ქმნან სხვებმა“)

...ქართული რელიეფური პლასტიკის განვითარების ისტორიაში „საქართველოს ისტორია“ შეუდარებელია...

სწორი პროპორციები, სრულიად ბუნებრივი პოზა და წარბსიუჟეტიანობა. მოძრაობათა სავსებით გამართული მექანიზმი, ფორმათა ელასტიკურობა, სხეულზე ზუსტად მორგებული სამოსი და სამოსის ქვეშ მკაფიოდ გამოვლენილი სხეულის სტრუქტურა, სახის მშვიდი გამომეტყველება. ერთნაირადაა განცდილი და ერთნაირი გულმოდგინებით დამუშავებული ყოველი დეტალი, რომლის ყოველი წვრილმანი და, ყოველივე ამის გამო, მთლიანად, მთელი გამოსახულება — სისხლსავსე, ცოცხალი, სავსებით „რეალური“. ეს ღირსებები გამოარჩევს მის მონუმენტალურ ფიგურებს ქართული სკულპტურის სხვა ნიმუშებისგან, ეს ღირსებები აყენებს მას სკულპტურის უნიკალურ ძეგლებს შორის...

სკულპტურულობა, ამა თუ იმ პერსონაჟის თუ მთელი სიუჟეტური კომპოზიციის სკულპტურულ ფორმათა ძიება და გამოვლენა, გამომუშავებული ტექნიკური არსენალი, საერთო კომპოზიციური სტრუქტურა, მხატვრული ხერხები და პრინციპები და რაც ყველაზე მომხიბვლელია, ორნამენტირებულ ჯვრის ჩარჩოებზე სრულიად გარკვეული პრინციპით განთავსებული დაუთვლელი რაოდენობის მედალიონები, რომლებიც ორგანულად ერწყმის ძეგლის მთელი დეკორის გარკვეულ სისტემას. ეს არის დეკორატიულობა, რაც ასე დამახასიათებელია ქართველი სკულპტორისთვის, საერთო დეკორატიული მიდგომა, დეკორატიულობა, როგორც ნაწარმოების აგების პრინციპი — ამიტომაც წერეთლის ძეგლები მდიდრული დეკორით გამოირჩევიან და მაინც იმარჯვებს ფიგურის სკულპტურულ-პლასტიკური დამუშავება, რაშიც წერეთელს ბადალი არ ჰყავს.

წერეთლის რელიეფური ხელოვნების ძეგლები დეკორატიული ხელოვნების იშვიათი ნიმუშებიცაა. ეს არის სწორედ მისი განსაკუთრებული დეკორატიულობა, გამოვლენილი არა მარტო კომპოზიციის აგებულებაში, მაგალითად, გამოსახულებათა განაწილებაში, არამედ დამუშავებული. სამოსის ხაზები წერეთელთან წმინდა დეკორატიული ორგანიზაციაა. ჯვრის ჩარჩოებზე განლაგდა ყველა პერსონაჟი, ყველა ჩარჩო ორნამენტირებულია ანსამბლის ფრაგმენტებით, მედალიონებით, სახეებით, მზეებით, ყვავილებით, ჩიტებით, ურმებით, მხედრებით და ა. შ. ყველა ჩარჩო ნარატიულია, აქ იკითხება ყველაფერი, რაც კი ჩვენს ისტორიას გადახდენია თავს, მრავლად არის, აგრეთვე, მედალიონები სკულპტურული რელიეფებით, კოლოსის ჯვრის ჩარჩოები სტრუქტურულად ანსამბლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, მეორეხარისხოვა-

ნი ელემენტი კი არ არის, არამედ ცენტრალური გამოსახულების, ე.ი. რელიგიური თუ საერო პერსონაჟის ტოლფასი წარმონაქმნია მთელი თავისი დეკორის ტექნიკური და მხატვრული სრულყოფილებით.

აქ ყველაფერი დიდი სიყვარულითაა დამუშავებული: ზოგჯერ ჯვრის ჩარჩოზე ორნამენტული თუ სხვა დეკორატიული კომპოზიციაა წარმოდგენილი, ხშირად წარწერებია ჩამოსხმული ბრინჯაოს ეტრატებზე... კოლოსებზეა ცენტრალური გამოსახულება, ე.ი. საკუთრივ ხატი და მისი შემომსაზღვრელი ჩარჩო.

წერეთლის არჩევანი შემთხვევითი არ არის. აქ წარმოსახული სამყარო ჩვენი ეროვნული მსოფლშეგრძნებისა და ქართული ხელოვნების სულისთვის ახლობელი მზითა და „ღვთაებრივი სიხალისითაა“ გამსჭვალული, თანაც ღრმად განსწავლული ესთეტის მიერ პოეტურ-მითოსურ პლანში მოაზრებული ქართული და ევროპული კულტურის ერთგვარი კვინტენსენციაა, რომელიც გვაახლოვებს ჩვენი კულტურისთვის გენეტიკურად მახლობელი წინა აზიის უძველესი მისტერიების, რიტუალებისა და ოქროს საწმისის ჯადოსნურ რკალში მოქცეულ ხილვებს. ვიზიონერის ნათელხილვითაა გაცოცხლებული დასავლური ცივილიზაციის მითიური და ქრისტიანული საუკუნეების ულამაზესი სურათები — ადამიანებისა და ღმერთების უკვე გარდასული სახეები.

შემოქმედების დიდ გზაზე გასულმა იტვირთა და დაასრულა ეს დიდი და საპატიო ეროვნული საქმე.

რაც მნიშვნელოვანია, ეს არის საყოველთაო ერთობის, მსოფლიო სოლიდარობის სული. კაცობრიული ამხანაგობისა და მოყვასისთვის თავგანწირვის სული — ქართული ტოლერანტობის სული.

გაუცნობიერებლად, მთელი სამყარო მისთვის ობიექტი კი არ არის, არამედ სუბიექტი — თვითონ ის, წერეთელია ყველგან და ყოველში თავის სოლიდარულობას და ტოლერანტობას ტოვებს — ქართველთა ოპტიმიზმი რუსთაველის სიცოცხლის ჰარმონიის და მომავლის, სიყვარულის, მამაკაცური სიყვარულის, სიხარულისა და ადამიანთა მეგობრობის რწმენა — სწორედ ამ შემართებამ აქცია გიგანტური შემოქმედების ხელოვნად, მანვე გამოძერწა საკუთარი სტილი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ხელოვნებაზე.

„იძულება ბადებს ფორმის სილამაზეს, მოძრაობას და მუსიკას, გონებადახშული ადამიანები ფილოსოფიის ერთგვარი თამაშია, ანდა სამკაული... არა. ზომაც ისევე იბადება, როგორც ყოველგვარი სილამაზე სამყაროსი“ რაბინდრანათ თაგორი

სიყვარული ამოზიდა ყეენის მთაზე...

დვრიტა დაადო ქართული...

და როგორც მხატვარი, იგი იქცა ძმად ყოველი კაცისა, ვისაც სწამს ღირსება — ღირსების გულისთვის, პატიოსნება — პატიოსნების გულისთვის... გაარღვია ყოველგვარი საზღვრები, ყველა გრძედისა და განედის ადამიანებისთვის ნაცნობი გახადა ჩვენი ქვეყნის უთანასწორო რაინდული ბრძოლა სამყაროში...

ყოველთვის თვალსაჩინოა სინთეზი ინჟინრული გამოგონების და მეტაფორის, ისტორიული მეხსიერების და ფანტაზიის.

წერეთელი სალვადორ დალივით ინტუიტიურად მიდის ქანდაკებისკენ და გამოჰყავს რთული ლოგარითმული მრუდები... რითაც მისი ესტეტიკური აგენტები — ბრინჯაოდ და მინანქრად ქცეული ეკლესიები სუნთქავენ...

„საქართველოს ისტორია“ არის კლასიკური და ეროვნული არქიტექტურის მემკვიდრეობის შემოქმედებითი ნოვაცია. მან ხელაღებით დაჩრდილა მანამდე არსებული მაღალმხატვრული ღირსების ძეგლები. აქ ორგანულად შერწმულია თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის მიღწევები და არქიტექტურული მემკვიდრეობიდან ამოგლეჯილი საშუალებები.

„საქართველოს ისტორიის“ სილუეტი გამოვიდა ქალაქის საზღვრებიდან და შეეფინა ყეენის მთის ფერდობებს. თვით მთის სილუეტი და მოცულობა კი ქალაქის დამახასიაღებელი, დამამახსოვრებელი, წამყვანი კომპონენტი გახდა. ქალაქის განაშენიანების აბსოლუტური მასშტაბის ზრდამ შეცვალა შეფარდებითი მასშტაბი — ქალაქი — მთა.

„საქართველოს ისტორია“ სივრცეში და დროში მუშაობს მთელ ქალაქზე, ბუნებრივ (მთა) დომინანტთან ერთად განსაკუთრებულ სახეს აძლევს თბილისს. წერეთლის არქიტექტურაში მიგნებულია მთავარი, სივრცის ამოცანის ორიგინალური გადაწყვეტა.

მთის მოცულობა კომპაქტურია, იმპოზანტური, ორიგინალური და ხალისიანი, მაღალი, მხდენილი ბრინჯაოს კოლონადების გადახურვის მაქმანი მზითა და ჰაერითაა გაჯერებული. ქალაქის გრანდიოზული პანორამა, არქაული სილუეტი იჭრება ინტერიერის ერთდროულად, ინტიმურ და ყოველმხრივ გახსნილ გარემოში. არქიტექტურა და ბუნება ავსებს ერთმანეთს.

არქიტექტურაში აშკარაა მდიდარი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ნოვაციური ათვისების შემოქმედებითი ხაზი. მხედველობაში მაქვს მთავარი — ბრინჯაოს კოლონადის, სვეტნარის მაღალი ორდერი. მისი პროპორციები, დეკორატიული ხასიათი ასოცირდება ქართული და მსოფლიო არქიტექტურებისთვის დამახასიათებელ კედლის დეკორატიულ თაღებთან. ეს არის კლასიკური ორდერული სისტემის ნიადაგზე „ეროვნული ორდერის“, ე.წ. მაღალი ორდერის შექმნა და ჩამოყალიბება...

ნუ დაგვავიწყდება — ყეენის მთა, სივრცეში ყველა მხრიდან იკითხება, როგორც ტრაპეციოიდი — თავწაჭრილი პირამიდა, ამიტომ უჩვეულო, არქაული სილუეტი აგვირგვინებს ქალაქის სილუეტს.

ჩვენ წინაშეა მთელ თბილისში „ჩასმული“ ბრინჯაოს ანსამბლი, რომელიც ქმნის თბილისის განუმეორებელ მხატვრულ სახეს — აეროპორტიდან შემოსასვლელში დგას ძეგლი „მზე“, თავისუფლების მოედანზე „წმინდა გიორგი“, მცხეთის გზაზე „წმინდა ნინო“... „საქართველოს ისტორიის„ გზის ხაზზე — მთის ციცაბო კალთაზე მყუდროდ შეყუჟული ხარების მინანქრის ეკლესია, მთია არქაული მოცულობის ჰორიზონტალი და მთის დიდი მასივი, ზედმიწევნით არქაული სილუეტით, სადაც აღქმაში ვიზუალური შეჩვევის ფაქტორი სრულად გამორიცხულია... თბილისის თანამედროვე უბნების ჩამოყალიბებული მასშტაბები, მისი ტერასული განაშენიანების აბსოლუტური სიმაღლეების დემარკაციული ხაზიც კი შენარჩუნებულია.

ამიტომაც, თბილისის სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებიდან ის მხატვრული ღირსებებით სრულიად გამორჩეულია, მას მეტოქე არ ჰყავს, რადგანაც ის თვითონ ქმნის „გენერალურ“ გეგმას თბილისის ზღვის განაშენიანებისა...

წერეთელი ის არის, ვინც უსმენს სამყაროს ორკესტრს...

„საქართველოს ისტორია“ საქართველოს ბედით მცხოვრები ერთი კაცის თვალით დანახული სამშობლოს ისტორიაა... ის სხვადასხვა პერსონაჟების უბრალო თავმოყრა კი არ არის, არამედ „საქართველოს ისტორიაა“, ერთი მთლიანობაა... თვალშისაცემია სუ-



ბიექტური საწყისების გაძლიერება და პიროვნული თვითგამოხატვის, თვითშემეცნების დამკვიდრება. თვითშემეცნება ადამიანის უმაღლესი უნარია, ჯერ კიდევ სოკრატე ამბობდა: „შეიცან თავი შენიო...“ თავის თავში გარკვევა ყველაზე ძნელია. თვითშემეცნების მიზნით შექმნა „ქართველ უფალთა მეგვარტომობის“ მასშტაბური ეროვნული კრებული, მოიტანა, როგორც წმინდა წიგნი: — მე, ქართველი, ადამიანი, ქართველი...

გულის ფიცარზე დაიწერა: — მე, ქართველი, ადამიანი, ქართველი...

წერეთლის სამოქმედო გარემოა მთელი სამყარო, სამოქმედო დრო კაცობრიობის მთელი ისტორიაა...

მოქმედებათა დროსა და სივრცეს წერეთელი შემოფარგლავს ეროვნული ისტორიის დროითა და სივრცით. თავისი ქვეყნის ამბებს ბიბლიით და ქართველ მამულიშვილთა ჩამომავლობის ჩამოთვლით იწყება. მან შექმნა ქვეყნის გაჩენისა და მომდევნო ამბების, მათ უკავშირებს თავის ცხოვრებას. აქაც თვითშემეცნების იგივე საფეხურები გამოიკვეთება: სამყარო — სამშობლო — პიროვნება... ამ საფეხურებს მიჰყვება წარმოდგენილი დრო და სივრცე, რომლის ფონზეა გაშლილი მსოფლიო ისტორიისა და საქართველოს ისტორიის ამბები...

ახალი გზა მონახა მაინც მზისკენ მიმავალ ტევრში.

ეს იყო ენის, ხალხური და საუკუნოვანი ქართული ხელოვნების მემკვიდრეობის გამოყენება თავისი შეუმღვრეველი და ხალასი ფორმებით, რაც ემსახურება საქართველოს შინაგანი სამყაროს გამომზეურებას.

წერეთელი უაღრესად ინდივიდუალური მსოფლგანცდის მხატვარია. ეს იმდენად გამძაფრებულად მოჩანს მის შემოქმედებაში, რომ მის ბადალს ვერ იპოვით. ამ გზებით ხდება მხატვრული აზროვნების ძველი ფორმების დაძლევა. აქვეა დაპირისპირება: მონუმენტალიზმსა და ინდივიდუალურ მსოფლგანცდას შორის. ეს წინააღმდეგობა ბუნებრივია და თანაც აუცილებელი — წერეთელი საკუთარ ლირიკულ „მეს“ განუმეორებლობას ანიჭებს...

წერეთელი განუმეორებელია.

* * *

რეზო ამაშუკელი, პოეტი:

— იმის გარდა, რომ ზურაბ წერეთელი არის ჩემი მეგობარი, არის უამრავი ქართველის დამხმარე და გვერდში მდგომი. წლების განმავლობაში რაც გაჭირვება გაიარა საქართველომ, შემიძლია ვთქვა, გადაყოლილი იყო ჩვენს ქვეყანაზე. არავინ იცის, რამდენი მილიონის ღირებულების წამალი აქვს ჩამოტანილი სრულიად უცხო ადამიანებისთვის.

ეს კაცი ამართლებს გვარს, ის ნამდვილი წერეთელია. კეთილშობილი თავადი, გულუხვი, იუმორით სავსე, უბოროტო. გულში არ ჩაიდებს წყენას.

შაგალს, სალვადორ დალის, სიკეიროსს, პიკასოს მოსწონდათ მისი შემოქმედება და პატივს სცემდნენ ზურაბ წერეთელს.

ჩვენ, ქართველებმა, კი დღემდე ვერ მოვიშალეთ დამღუპველი სენი: თუ ზედმეტად ნიჭიერი და წარმატებული ვინმე გამოჩნდა ჩვენს შორის, დასაკორტნად უნდა დავესხათ თავს.

ყველაფერს, რასაც აკეთებს, საჩუქრად გადმოგვცემს.

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორია დღეს აღარავის ახსოვს. ამ მემორიალს კი ზურაბ წერეთელ-

12 ბ.

ზურაბ წერეთელი – „საქართველოს ისტორია“

11 ბ3.

მა თავისი ენერგია და ახალგაზრდობაც კი შეალია და იმდენი ვერ მოვახერხეთ, რომ ის ტერიტორია, სადაც დგას ეს დიდებული მემორიალი, რომელიც თაობებს უნდა გადაეცეს, ვერ თუ არ გაუფორმეს ამ ადამიანს.

ეს სირცხვილია!

კიდევ ვიმეორებ, იყო პერიოდები, როცა ზურაბ წერეთელმა საქართველოში ოჯახები შიმშილით დაღუპვას გადაარჩინა. ვისაც ამის დავიწყება შეუძლია, ის არის უნამუსო კაცი და ასეთი კაცი მე არ ვარ!

მე, ერთი რიგითი ქართველი, მოვითხოვ ხელისუფლებისგან, გადაეცეს მიწის ეს ტერიტორია ზურაბ წერეთელს.

ჩვენ თუ ვართ იმ კულტურული ერის შვილები, რომელმა ერმაც მსოფლიო ცივილიზაციას ბევრი კარგი რამ შესძინა, გვერდით უნდა დავუდგეთ ხელოვნებას, ხელოვანს, ვინც ამ ქვეყნის სახელოვანი ისტორიის უკვდავყოფისთვის იღვწის. და კიდევ ერთი, მადლობა „საერთო გაზეთს“, ამ დიდებულ ადამიანს რომ გვერდით დაუდექით ამ საშვილიშვილო საქმის განსახორციელებლად...

ბუბა ხოტივარი,
კინორეჟისორი:

— ამ ადამიანმა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ამ მემორიალური კომპლექსის მშენებლობა. ბატონმა ზურაბმა მრავალმილიონიანი შედევრები შექმნა იქ. თითოეული ნამუშევარი არის ღრმად პატრიოტული, კარგი ხარისხის და ასე უპატრონოდ მისი მიგდება არ შეიძლება. შესაძლოა, ადრე არავინ აქცევდა ამას ყურადღებას, მაგრამ ახლა უკვე დადგა დრო, რომ ამ იდეას აქტიურად დავუჭიროთ მხარი.

ბატონი ზურაბი არაჩვეულებრივია, როგორც ხელოვანი, მაგრამ ასევე გამორჩეულია, როგორც პიროვნება.

გასულ საუკუნეში ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების გახმაურებული საქმის მიმდინარეობისას, მთავრობისადმი წერილი შევადგინეთ ამ ახალგაზრდების შეწყალების თხოვნით და დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება. ყველა თავს იკავებდა. არავის უნდოდა ხელის მოწერა. პირველი, ვინც გადადგა ეს ნაბიჯი და თხოვნაზე ხელი მოაწერა, იყო ზურაბ წერეთელი. მან ამით ძალიან დიდი საქმე გააკეთა: ზურაბმა რომ ხელი მოაწერა, მერე ხელი უკვე ბევრმა მოაწერა. მართალია, ამ წერილმა ვერ გადაარჩინა ის ახალგაზრდები მაშინ, მაგრამ, როგორც მორალური ფაქტი ბატონი ზურაბისგან, ნამდვილად აღსანიშნავია. ზურაბ წერეთელი მაშინ მთავრობის წევრი იყო და იმ მთავრობის წინააღმდეგ წავიდა, სადაც მუშაობდა. 30 წელი გავიდა მას შემდეგ და მე მადლობას ვეუბნები მას ამისთვის.

აი, ასეთ კაცს არ უკანონებენ მიწის ნაკვეთს, რომელსაც, სავარაუდოდ, გადასცემენ ჩინელებს და ათასი ჯურის უცხოელს, ან გადააკეთებენ სახინკლედ.

მიხო მორჩილაძე,
მწერალი:

— როგორც ჩანს, ზურაბ წერეთელმა, დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთმა უდიდესმა მონუმენტალისტმა, თავიდანვე სრულად აღიქვა ის თვალსაჩინოება და ბრწყინვალება, რასაც მისი დაგეგმილი კომპლექსი შეიძენდა და საკუთარი იდეის განსახორციელებლად თავადვე აირჩია თბილისის შემოგარენში ყოვლად უსახური ყაენის მთა, რითაც თბილისს განუმეორებელი მარგალიტი შესძინა.

თვით კომპლექსი არის გამორჩეულად საინტერესო.

როცა ისტორიას ვყვებით, ლექციაზე, აუდიტორიაში, მუზეუმში, საუბარი ნელ-ნელა მოსაწყენი ხდება. აქ, ამ კომპლექსში, ადიხარ კიბეებით, თვალწინ იშლება საოცრებები. გაცოცხლებულია ერთმანეთში ჰარმონიულად გადაჭდობილი ქვა, ჭედურობა, სპილენძი, ბრინჯაო, მარმარილო, ყველაფერი რაღაცნაირ მისტიკურ შთაბეჭდილებას ქმნის და გაოცების შემდეგ სიამაყის განცდა ჩნდება.

თუ მემორიალში ქვედა „სართულზე“ ბიბლიური სიუჟეტებია, მათ ზემოთ ბარელიეფებსა და გორელიეფებში საქართველოს ისტორია, ქართველი მეფეების, საზოგადო მოღვაწეების ქანდაკებებით ჩვენი ისტორია იშლება. სართულებს შორის სტილი სხვადასხვაა, რაც ყურადღებას არ ადუნებს, მეტიც, კონცენტრაციას ითხოვს.

ამ კომპლექსმა თბილისს მისცა ქვეყნის, ქრისტიანული რელიგიის ისტორიის გამოხატვის საშუალება და ხაზი გაუსვა საქართველოს ადგილს მსოფლიოში. აღტაცებული მნახველი ამას ხედავს, გრძნობს და ლექცია და საუბრებიც არაა საჭირო, იმდენად თვალნათელია ყველაფერი, რომ გარწმუნებს, თავად შენც გარწმუნებს, რომ გამორჩეული ერი ხარ.

მე ხშირად ამყავს იქ ჩემი უცხოელი სტუმრები.

ცოტა ხნის წინათაც იყვნენ უცხოელები.

თუ დამიჯერებთ, იტირეს.

ყველაფერი ეს ვიდეოკადრებად მაქვს გადაღებული — გაოცებისგან და მძაფრი შთაბეჭდილებებისგან უცხო ადამიანებსაც კი ცრემლები მოსდით.

ისტორიული ტექსტები ჩამოსხმულია მეტალში, ამეტყველებულია ქვაში, რაც ადვილია აღსაქმელად, მით უფრო, მოზარდისთვის, რადგანაც ტექსტების უმრავლესობა სასიარულო ბილიკებადაა ქცეული...

ეს მართლაც გასაოცარი კომპლექსი, რომელიც დამთავრებული არაა, შეიძლება, ბევრს ნანახიც არ ჰქონდეს, მაგრამ, დამერწმუნეთ, ეს არის არაჩვეულებრივი რამ. არის არა მხოლოდ თვალსაჩინოება, არამედ მას უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

თავის დროზე მაო ძე დუნს ჰქონდა ასეთი ტაქტიკა: რადიოსა და ტელევიზიაში მის სადიდებელ ძალიან მოკლე ტექსტებს „დაცძიბაო“-ს იმეორებდნენ ყოველ რამდენიმე წუთში ერთხელ და ადამიანი თავისდაუნებურად ამას იბეჭდავდა გონებაში. აქაც ასეა, ხელოვანი თვალშისაცემად, თუმცა, გარკვეულწილად, შეფარვით გაწვდის რაღაც ახალს, რომელიც სინამდვილეში ძველია, ისტორიაა, საქართველოს, ქართველების თავს გადახდენილი ამბებია..

ერთსაც გავიხსენებ.

გასულ საუკუნეში, თბილისის ცენტრში 1989 წლის 9 აპრილს ტრაგედია მოხდა. რუსმა სამხედროებმა ქართველი მომიტინგეები დაარბიეს. იმ ხანებში მე ჩავედი რუსეთში, მოსკოვში. იმ სამხედრო ნაწილებში ჩასვლას ვგეგმავდი, რომელთაც საშინელებები ჩაიდინეს თბილისში. მახსოვს, მაშინ ზურაბ წერეთელმა იაპონური დიქტოფონი და ფოტოაპარატი გადმოგვცა, კარგად რომ გვემუშავა. მათი მეშვეობით მე ჩამოვიტანე ძალიან საინტერესო ჩანაწერები, ფოტოები, რომლებიც მერე სობჩაკის დასკვნას დაედო საფუძვლად.

არავინ არ სთხოვდა მაშინ ზურაბ წერეთელს არაფერს, პირიქით, თვითონ ითხოვდა — რა გინდათ, რა შემიძლია, რა შეიძლება გაკეთდეს, დამიხმარეთო, — ამბობდა.

რაც შეეხება ამ ტერიტორიის პრივატიზებას.

თბილისის ნებისმიერ უბანში რომ გაიარო, ათასგვარი ღობეებით შემოჯირყვნილ დიდ მიწის ნაკვეთებს შეხვდებით, რომლის უკან სიცარიელეა, ანდა სასტუმრო, კაზინო თუ გასართობი შენობები შენდება.

ეს მემორიალი ზურაბ წერეთელს საკუთარი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ხომ არ უნდა?! ქვეყანას სჭირდება, ქვეყნის სადიდებელი მემორიალია გაკეთებული, ესაა მთავარი ამ მიწის ერთი გოჯი მისი პირადი საკუთრებისთვის არაა. გვაძლევს, გვჩუქნის, სხვებივით კი არ გვართმევს.

ამ მიწის დამტკიცებაზე უარის თქმას რითი ამართლებს ხელისუფლება?!

ისე, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა ადამიანია, ვინც ქვეყნისთვის სიკეთეს აკეთებს. ამ ტერიტორიის მოთხოვნა მისი უკეთ მოვლისათვის, შიდა თუ გარეშე მტრებისგან დასაცავადაა საჭირო. სამწუხაროდ, მონუმენტი უკვე რამდენჯერმე გაიძარცვა. ასურელი მამების კომპლექსიდან ერთ-ერთი ბრინჯაოს ქანდაკება წაღებულია, ასევე მოხხნილია და გატაცებულია ბრინჯაოს მემორიალის რამდენიმეტონიანი ბრინჯაოს ერთ-ერთი დიდი ფრაგმენტიც...

ყველამ ვიცით, რამდენი რამ გაკეთა საქართველოსთვის დავით სარაჯიშვილმა, რასაც, უმეტესწილად, თავად არ ამხელდა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისში, ქართველთა მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა უნივერსიტეტის აშენება. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ამის ერთ-ერთი ინიციატორი იყო და უნივერსიტეტის ასაშენებლად ფულს აგროვებდა და იქვე, ჟურნალში იმათ გვარებს აქვეყნებდა, ვინ რამდენი, ზოგმა სამი, ზოგმა — ხუთი, იმათაც, ვინც სულ ერთი მანეთი შემოსწირა ამ საშვილიშვილო საქმეს.

სწორედ იმ დროს, სარაჯიშვილმა პაპაჩემს, იოსებ იმედაშვილს, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მთავარ რედაქტორს გადასცა მილიონი მანეთი ოქროთი და ასე უთქვამს: — ოღონდ არ თქვა, ჩემო იოსებ, რომ ეს თანხა ჩემია და მე მოგეცი, ეს თანხა უნივერსიტეტს, ქართველ ხალხს ეკუთვნისო.

ასეა ზურაბ წერეთელიც.

ის არ აკეთებს საქმეს პირადი რეკლამისათვის. მას არავითარი პირადი ინტერესები არ ამოძრავებს. ზურაბ წერეთელმა მთელი ეს აშენებული კომპლექსი, თავისი ქანდაკებებით, თავისი რელიეფებით, გორელიეფებით, საქართველოს, თავის სამშობლოს აჩუქა იმ რამდენიმე ასეულ მილიონთან ერთად, რაც მის შესაქმნელად დახარჯა ისე, რომ იმ მიწის დასაკუთრებაზე, სადაც ეს კომპლექსი აშენდა, არც უფიქრია.

დავფიქრდეთ, და შევუძახოთ მთავრობას: რა ხდება?!.



გურამ სალარაძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.:

— ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, ვისთვისაც ეროვნული ღირსება ყველაზე მთავარია, მხარს დაუჭერს ზურაბ წერეთლის ამ შესანიშნავ იდეას. ეს საშვილიშვილო საქმეა. თაობიდან თაობას გადაეცემა „საქართველოს მატიანის“ მემორიალური კომპლექსი, იგი ჩვენი ერის თვალნათლივი სიამაყე იქნება.

ბოლოს და ბოლოს, ამ კაცს საკუთრებაში ხომ არ მიაქვს ეს მონუმენტები, ეს მიწა, ეს ტერიტორია?! საქართველოს ისტორიის უკვდავსაყოფად სჭირდება. მოვუწოდებ ხელისუფლებას — გადასცეს ბატონ ზურაბს მიწის ფართობი მემორიალური კომპლექსის განსავითარებლად და გასაშენებლად. გააკეთეთ ეს საშვილიშვილო საქმე, ბატონებო!

გიგლა გობეჩია,
ჟურნალისტი:

— შესანიშნავი კომპლექსია

გაშენებული თბილისის ზღვაზე. ამ საკითხში ჩახედული არ ვარ, მაგრამ, სავარაუდოდ, მშენებლობა შეთანხმებულია სახელმწიფო სამხატვრო საბჭოსთან და სხვა ინსტანციებთან.

ბატონი ზურაბი ცნობილი ხელოვანია მსოფლიოში.

ის შესანიშნავი ორგანიზატორი გახლავთ ხელოვნების მენეჯმენტის კუთხით.

მისი ნამუშევრები ამშვენებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, ქალაქებს.

მიკვირს, 2007 წლიდან დღემდე რატომ გაჭიანურდა მისთვის მიწის ფართობის დაკანონების საკითხი.

ხელოვნება თავად უნიკალური რამ არის. არავინ იცის, რა მოულოდნელ უკვდავ ნიმუშებს შეიძლება ველოდეთ ხელოვანისგან. არც ის ვიცით, რა საოცრებები შეიძლება წარმოგვიდგინოს ბატონმა ზურაბმა იმ მემორიალის ფარგლებში.

ეს ადგილი, არა მხოლოდ ქართველებისთვის იქნება საინტერესო და საამაყო, არამედ, ის, მოსალოდნელიაა, ტურისტულ მექად იქცეს.

რატომ ვუშვებთ ამ შანსს ხელიდან?

მოხდეს ამ გადაწყვეტილების საზოგადოებრივი განხილვის საგნად ქცევა.

ეს დღეს პრობლემას არ წარმოადგენს.

მივცეთ ამ ადამიანს იმის საშუალება, რომ თავის ქვეყანას გრანდიოზული, უკვდავი ქმნილება დაუტოვოს.

სხვა საკითხია, მონუმენტური კომპლექსების მხატვრული გადაწყვეტა ვინმესთვის მისაღებია თუ არა, მაგრამ, გავითვალისწინოთ, თავის დროზე ეიფელის კოშკიც არ მოსწონდათ კრიტიკოსებს, მაგრამ დღეს საფრანგეთის სიმბოლოდ არის ქცეული.

უამრავი ასეთი შემთხვევის გახსენება შეიძლება.

ცნობილია, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი სიახლე საზოგადოებაში ადგილს სამი ეტაპის გავლის შემდეგ იმკვიდრებს. პირველი — ეს რა სისულელეა, მეორე — არის ამაში რაღაც სერიოზული, მესამე — ჩვენ ვიცოდით, რომ კარგი იდეა იყო ეს.

კომპლექსისთვის მიწის გადაცემის საკითხი არ არის მხოლოდ მთავრობის გადასაწყვეტი.. საუბარია მრავალსაუკუნოვანი ქვეყნის დედაქალაქზე და ამ დედაქალაქში ეს კომპლექსი თუ გაიშლება, იმან საუკუნეებს უნდა გაუძლოს. ამას ხელი უნდა შეეწყოს.

მე მხარს ვუჭერ ამ საკითხის დროულად განხილვას, მის დადებითად გადაწყვეტას კანონის ფარგლებში — დიახ, მიწის ფართობი უნდა გადაეცეს ზურაბ წერეთელს მემორიალური კომპლექსის მშენებლობისთვის.

ნუგზარ ანთელავა,
ეთნოგრაფი:

— „საერთო გაზეთი“ შესანიშნავ იდეას უჭერს მხარს. მადლობა თქვენ ამისთვის. ყველამ ვიცით, რომ ერი ისტორიით სულდგმულობს და არსებობს. რაც მეტად გავუწევთ პოპულარიზაციას ჩვენს ისტორიას, მით უკეთესი იქნება ჩვენი მომავლისთვის.

ზურაბ წერეთელს, რამდენადაც ვიცი, არაჩვეულებრივი ჩანაფიქრი აქვს და ნაწილობრივ ხორცშესხმული თბილისის ზღვის კომპლექსში. მიკვირს, რატომ არ უნდა დაუმტკიცდეს ამ ადამიანს იქ მიწის ტერიტორია, როცა ჩვენს მიწაზე ათასი ჯურის გადამთიელი ბიზნესებს აწარმოებს?!

მივმართავ მთავრობას, ყურად იღოს ჩვენი თხოვნა და მოთხოვნა: ზურაბ წერეთელს მემორიალური კომპლექსისთვის ნამდვილად ეკუთვნის ტერიტორია და ის უნდა გადაეცეს მას.

მერაბ შათირიშვილი,
მწერალი:

— მადლობა უნდა ვუთხრა „საერთო გაზეთს“, ამ შესანიშნავ იდეას რომ უჭერს მხარს და მამულიშვილურ საქმეს აკეთებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვიღაცებს არ უნდათ, საქართველოს ისტორია და წარსული თაობებმა იცოდნენ — რა გაიარეს მისმა წინაპრებმა, რა დაუტოვეს შთამომავლობას და რა პასუხისმგებლობით უნდა იცხოვრონ მომავალში. ეს არის სწორედ ის ბნელი ძალების მიერ დაფინანსებული ლიბერალური უბედურების შედეგი. ამ ნაბიჯებს არის აყოლილი დღეს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, რითაც არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას იმას, რომ იქნება არაჩვეულერივი მუზეუმი, სადაც შესაძლებელი

იქნება, თვალნათლივ წაიკითხო და შეიგრძნო საქართველოს ისტორია. ეს ადგილი ზედგამოჭრილია ამისთვის.

ამ მუზეუმს რომ დაათვალიერებს მოზარდი, მის გულსა და გონებაში ჩაიბეჭდება, რომ ის საქართველოს სიღრმეებში დააბიჯებს და უფრო მეტად დაინტერესდება თავისი ქვეყნის წარსულით.

როგორც ვხედავთ, ნგრევა მიდის მართლმადიდებლობის, ტრადიციების, ღირებულებების, უცხოურ ფასეულობებს ამკვიდრებენ, გარყვნილებას, სარწმუნოების გამანადგურებელ სექტებს და ა. შ.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევდექით, როგორც სახელმწიფო. როცა ისეთ ფაქტს წააწყდები, რომ ხელოვანი თავისი ფინანსური რეზერვებით ცდილობს, ქვეყანას დაუტოვოს უკვდავი ადგილი, სადაც ისტორია ცოცხლად იქნება წარმოდგენილი და ამაზე უარს ეუბნები, ეს ნიშნავს, რომ არა ხარ თავმოყვარე ხელისუფლება და არა ხარ, საერთოდ, სახელმწიფო.

რომან რურუა,
მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი:

— ბატონ ზურაბს კარგად ვიცნობ. მას, ალბათ, აქვს ამ კომპლექსის განვითარების პროგრამა, პროექტი, ეს სახალსო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს და თუ პროექტი სახალხო მოწონებას დაიმსახურებს, რატომ არ უნდა დაუმტკიცოს ხელისუფლებამ, არ მესმის!

გოგი წერეთელი,
მხატვარი:

— ამ ეპოქაში ამხელა ისტორიული მნიშვნელობის კომპლექსის არსებობა და განვითარება უბრალო საქმე არაა. უდიდესი შრომაა ჩადებული ამ კომპლექსის მშენებლობაში. პატივსაცემი შემოქმედი და ადამიანია ზურაბ წერეთელი, ბევრი კარგი საქმე გააკეთა საქართველოში და არ მეგონა, თუ ასე დადგებოდა საკითხი — მისთვის მემორიალური კომპლექსის ასაშენებლად — მიწის ნაკვეთის გამოყოფა და დამტკიცება პრობლემა გახდებოდა.

ძეგლები, მონუმენტები, უამრავი სიკეთე უსასყიდლოდ გაიღო საქართველოსთვის, ჩვენი ხალხისთვის, რუსთაველის გამზირზე მუზეუმი დააფუძნა, სადაც კეთდება გამოფენები, შეხვედრები.

ძალიან ვწუხვარ, რომ ასე დადგა საკითხი. სირცხვილია, ზურაბ წერეთელი მიწას ითხოვდეს მემორიალური კომპლექსისთვის და ამ მიწას არ აძლევდნენ.

ზაურ კალანდია,
მწერალი:

— ზურაბ წერეთელი გახლავთ ძალიან დიდი კაცი, დიდი ადამიანი, დიდი ხელოვანი.

ახალგაზრდა ბიჭი იყო ბატონი ზურაბი, პიკასოსთან, შაგალთან და სხვა გენიოსებთან რომ მეგობრობდა და ისინიც დიდ პატივს სცემდნენ მას.

ამ კაცს უყვარს საქართველო, ჩვენი ხალხი და მე ვიცი, როგორადაც შეუძლია, ეხმარება ქართველ ხელოვანებს, საზოგადოების წარმომადგენლებს.

რაც გააკეთა თბილისის ზღვაზე, საქართველოსთვის და თბილისისთვის გააკეთა.

თქვენი რედაქტორი წერს ერთ წერილში ბიძინა ივანიშვილზე: მისთვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნებას რომ თხოვთ, რაც საქართველოს გაუკეთა და მისცა, ის რომ უკან მოგვთხოვოს, მერე რას ვაპირებთო, იმის არ იყოს — ზურაბ წერეთელი თავის ნიჭს, ენერგიას, ფინანსებს საქართველოს ახმარს და რატომ არ უნდა დაუმტკიცდეს მიწის ნაკვეთი მემორიალური კომპლექსისთვის, არგუმენტს ვერ ვხედავ.

მემორიალი, როგორც ახლა არის დაუცველი, ჩვენი სირცხვილია. ეს ტერიტორია უნდა გადაეცეს ამ ადამიანს. ეს კაცი ჩვენი ქვეყნის უკვდავსაყოფ საქმეს აკეთებს.

ანზორ ბაბუხადია,
ეკონომისტი:

— დიდებული საქმეა, რაც გააკეთა ბატონმა ზურაბმა თბილისის ზღვის კომპლექსის სახით. აღარ მოვყვები მის მიერ გამოქანდაკებულ უამრავ ძეგლსა და მონუმენტზე, რომელიც ამშვენებს საქართველოს.

ბატონი ზურაბი მსოფლიო დონის ხელოვანია, ჩვენი ქვეყნის შვილი, ჩვენი მემკვიდრე.

ასეთი შესანიშნავი საქმე აქვს დაწყებული და როგორ შეიძლება, მას ამაში ხელი შეეშალოს?! მიმაჩნია, რომ დანაშაულის ტოლფასია მისთვის მიწის იმ ნაკვეთის გადაუცემლობა, რომელსაც ითხოვს.

ეს მემორიალური კომპლექსი საქართველოს ისტორიას აცოცხლებს და უკვდავს ხდის. მადლობა ვახტანგ ხარჩილავას და „საერთო გაზეთს“, რომ დაინტერესდით ამ საშვილიშვილო საქმით.

გოგი გოგოლაშვილი,
ფილოლოგი, პროფესორი:

— რაც მეტი იქნება ასეთი ძეგლები და სხვა თვალსაჩინოებები, რაც თაობებს გააცნობს საქართველოს ისტორიას, მით უკეთესია.

ზურაბ წერეთლის ეს პროექტი ნამდვილად მხარდასაჭერია, რადგან, რაც მეტად შევახსენებთ ჩვენს ისტორიას ჩვენს მომავალ თაობებს, გნებავთ, უფროს თაობას და, საერთოდ, მსოფლიოს, უკეთესი იქნება ჩვენი მომავლისთვის.

ერთსულოვნება უნდა გამოვიჩინოთ ამ საკითხისადმი და ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელებაში მხარი უნდა დავუჭიროთ ზურაბ წერეთელს.

დიდი მადლობა „საერთო გაზეთს“, რომელმაც მართლაც ერონული სულისკვეთების გამოცემაა, ამ პატრიოტული ინიციატივისთვის.

ირაკლი ფალავა, ექიმი:

— იმაზე კარგს, რასაც ბატონი ზურაბი აკეთებს, რას გააკეთებს ნებისმიერი ხელოვანი? არაჩვეულებრივი ჩანაფიქრია ეს და მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ამ დიდებულ ადამიანს ამ იდეის განხორციელებაში.

ხელისუფლებამ არ უნდა გააჭიანუროს მისთვის მიწის საკუთრებაში გადაცემის საკითხი, რადგან ამ კომპლექსის განვითარება მართლაც აუცილებელი და საჭირო საქმეა ჩვენი ისტორიისა და მომავლისთვის.

ლაშა გვასალია,
პოეტი:

— რაც გვაძლიერებს, ეს არის ჩვენი ისტორია.ა ქართველი კაცი წლების განმავლობაში თავისი ქვეყნის ისტორიას, მატიანეს მოეფერა ლექსით, სიმღერით, მხატვრობით, მაგრამ ბრინჯაოში გამოკვეთილი ასეთი კომპლექსი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი თაობებისთვის, ახალგაზრდობისთვის, საერთოდ, ჩვენი მომავლისთვის. ამიტომაც ხელი უნდა შეეწყოს ამ პროექტის განხორციელებას.

გასაგებია, წინა რეჟიმისთვის რაც იყო პრიორიტეტული, მაგრამ დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება, დარწმუნებული ვარ, ამაზე უარს არ ეტყვის ბატონ ზურაბს და მიწა მემორიალურ კომპლექსს გადაეცემა.

თამარ დოლიძე,
ჟურნალისტი:

— ზურაბ წერეთელი საქმეში და ყველგან ქართველი შემოქმედი. უშრეტი ნიჭიერებითა, უდიდესი შრომისმოყვარეობითა და სიყვარულით აღსავსე ხან ფუნჯით, ხან საჭრეთელით ქმნის ძალზე ეროვნულს და ამავდროულად ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი უნიკალური, უნივერსალური ხელოვნების ენით გვესაუბრება, როგორც თანამემამულეებს, ასევე მთელი პლანეტის მოსახლეობას. თავისი ქმნილებებით გვეუბნება და მიგვანიშნებს კიდეც, რომ ვიცხოვროთ უფლის გზით, გვიყვარდეს სამშობლო, სამყარო, ერთმანეთი...

ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი „საქართველოს მატიანეს“ ისტორიულ-მონუმენტური კომპლექსის შესასვლელში ხარების ეკლესიაა და ამით ყველაფერია ნათქვამი. მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნებისა და კულტურის შედევრი ნამდვილად იმსახურებს იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდში თავის კუთვნილ სტატუსსა და ადგილს.

ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი ქართველისთვის ძალზე შეურაცხმყოფელია ის ფაქტი, რომ ბატონ ზურაბ წერეთელს ხელოვნურ პრობლემებს უქმნიან „ძლიერნი ამა სოფლისანი“. ზურაბ წერეთელმა თავისი მოღვაწეობით დაიმსახურა სიყვარული და მივმართავ ყველას, მხარი დაუჭირონ წერეთლისეულ უფლისმიერ საქმეებს...

გური შენგელია,
კინოდოკუმენტალისტი:

— ხალხის უმეტესობა არ იცნობს ამ მემორიალურ კომპლექსს, არადა, მართლაც არაჩვეულებრივი რამეები აქვს ხელოვანს გაკეთებული. მოღალატურად იქცევა ყველა, ვინც არ უმტკიცებს კომპლექსს ტერიტორიას.

ზაალ ბოტკოველი,
მწერალი:

— უპირველეს ყოვლისა, ის უნდა გითხრათ, რომ კომპლექსის იდეა, რამდენადაც ვიცი, სრულად არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიასათან. დაიხარჯა უზარმაზარი თანხები, გიგანტური შრომა და რატომ არ უნდა დაუმტკიცდეს ეს ტერიტორია ამ ადამიანს, არ მესმის. ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიის ფრაგმენტები არის უპატრონოდ, მაწანწალა ძაღლებისა და ლოთბაზარა ორფეხების ამარა. დაცული უნდა იყოს ეს ტერიტორია და სპეციალური დაცვაც უნდა დარაჯობდეს მას.

მიწა უნდა დაუკანონდეს მას. კომპლექსის მშენებლობა უნდა გაგრძელდეს.

ძლიერი რეგიონები

ბაღდათი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ფერსათსა და წითელხევში, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარეობს წყლის სათავე ნაგებობის, წყალშემკრები რეზერვუარისა და მაგისტრალური ქსელის მოწყობა.

● შიდასაუბნო გზების გაწმენდით-სარემონტო სამუშაოები გრძელდება. სოფელ როკითში დასრულდა 160 მეტრი სიგრძის ბონდის ხიდის რეაბილიტაცია, რომელიც სოფ. საიმედოსა და როკითის მოსახლეობას აკავშირებს.

● ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემური საკითხების მოგვარება ერთ-ერთი პრიორიტეტულია — 2016–2017 წლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. – ამჯერად ეტლით მოსარგებლე დავით ნატრიაშვილის სახლში ლიფტი დაამონტაჟეს. დავითს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა მოუგვარდა.

● ბაღდათის მუნიციპალიტეტში, თოდაძის ქუჩაზე, მიმდინარეობს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია.

● სოფელ მეორე ობჩაში მეორე საბავშვო ბაღი გაიხსნა. ბაღი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყო და აღიჭურვა.

● მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში, ტექნიკა სოფელ დიმში ადამაძეებისა და გიორგიძეების უბანში მუშაობს. მდინარე ხანისწყალზე კეთდება ნაპირსამაგრი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

● სოფელ ოფშკვითის საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი რეაბილიტირებულ შენობაში განახლდა. სამუშოები მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 89 849 ლარით დაფინანსდა.

● უახლოეს მომავალში საბავშვო ბაღები გაიხსნება ქვიტირში, ხომულსა და ცხუნკურში.

● სოფელ გვიშტიბის ტერიტორიაზე იგეგმება საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. პროექტის განხორციელებაში ჩართულია სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. პროექტი დაფინანსებულია შვედეთის მთავრობის მიერ, გრანტის ადმინისტრირებას ახდენს მსოფლიო ბანკი, ოპერირებას კი „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

ბოლო დღეებში მოსული უხვი ნალექის შედეგად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთლიანად იმერეთის რეგიონში, სტიქიამ დააზიანა გზები და გადაადგილების პრობლემა შექმნა. მუნიციპალიტეტმა აღდგენითი სამუშაოები გამოდარებისთანავე დაიწყო.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

„ქართული ღვინის კვირეულის“ ფარგლებში, ქალაქ გურჯაანში, ახტალის პარკში პირველად ღვინის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო როგორც ქვევრში დაყენებული გლეხური ღვინო, ისე 50-ზე მეტი დიდი და მცირე მარნის პროდუქცია.

ფესტივალზე მოწყობილი იყო მოსავლის საშემოდგომო და ქართული ღვინის ისტორიის პავილიონები, ასევე მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და ეთნოგრაფიული ექსპოზიციები.

გურჯაანის ღვინის ფესტივალი 2017-ის მიზანია ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ღვინის კულტურისა და ქართული ტრადიციების გაცნობა როგორც უცხოელი, ისე ქართველი საზოგადოებისთვის.

ღვინის კვირეულის ფარგლებში ფესტივალი კახეთის რეგიონის სხვა ქალაქებში გაგრძელდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● სოფელ სამრეკლოში დასასრულს უახლოვდება მეორე ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე სისტემის მოწყობა. აღნიშნულ პროექტზე 600 000 ლარზე მეტი იხარჯება.

● გზის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია სოფელ ხორნაბუჯშიც. გელოვანის ქუჩაზე მიმდინარეობს მოხრეშვა-მოგრეიდერება, რის შემდეგაც გზა მოასფალტდება. სამუშაოებისთვის 350 000 ლარზე მეტია გამოყოფილი.

● ამავე სოფელში, კოსტავას ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგება და ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

საქართველოს მთავრობა განათლების სამინისტროსთან ერთად პროფესიული განათლების ხელშესაწყობად არაერთი პროექტის განხორციელებას გეგმავს. ამ სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცედურა და უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი პროფესიული პროგრამები: ელექტროობა (სოფ. წინამძღვრიანთკარსა და დაბა სტეფანწმინდაში); სატყეო საქმე (სოფ. წინამძღვრიანთკარსა დაბა თიანეთში); მეფუტკრე (დაბა თიანეთში); საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი (სოფ. წინამძღვრიანთკარში); თმის სტილისტი (სოფ. წინამძღვრიანთკარში); სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (სოფ. წინამძღვრიანთკარში); ტრაქტორისტ-მემანქანე (სოფ. წინამძღვრიანთკარში).

სწავლა უფასოა!

საკონტაქტო ტელეფონი დაინტერესებულთათვის: 577 50 90

დედოფლისწყარო

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

● ჭრებალოში დასრულდა სპორტულ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა.

● სოფლებში: ღადიშში, პატარა ონში, მეორე ტოლაში, ღვიარაში, ბუგეულსა და ხიმშში მიმდინარეობს სპორტული მოედნების კეთილმოწყობა.

აბაშის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტი ჩაერთო ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივ პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დღეები აღინიშნა. ტყვირის მაცხოვრის სახელობის ტაძრის ეზოში გაიმართა საგანმანათლებლო-კულტურული ღონისძიება თემაზე: „კლიმატური ცვლილებების გავლენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე“.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ყულიშკარი-უჩაშონას დამაკავშირებელ ხიდს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება. ტენდერი უკვე გამოცხადებულია, სამუშაოების ღირებულება 19 800 ლარია.

● დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ჯუმის ხიდზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

● ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში შინმოუსვლელთა მემორიალი შეიღება და მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგდა.

● ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცაცხვი-ცაიშის დამაკავშირებელ გზაზე მწვანე საფარი მოწესრიგდა.

● ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა.

2017 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ოთხი ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა. ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდი 8266 ერთეულით შეივსო. უახლოეს მომავალში ახალი ბიბლიოთეკები სოფლებში რიყესა და დიდინეძში გაიხსნება.

● სოფ. ინგირისა და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

გურჯაანი

ფოთის მერიაში

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და ცენტრალური მთავრობის ხელშეწყობით არაერთი პროექტი განხორციელდა. 2015 წელს დაიწყო ყველაზე მასშტაბური — მალთაყვის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ღირებულება 18 მილიონ ლარს შეადგენს.

ასევე განხორციელდა ქალაქის 24-საათიანი წყალმომარა-

ძლიერი საქართველოსთვის

ზუგდიდი

გების პროექტი, რისთვისაც 22 მილიონი ლარი დაიხარჯა, მოწესრიგდა მუნიციპალური ნაგავსაყრელი, გადაიხურა და რეაბილიტირებულია ათეულობით კორპუსის ეზო, ასევე შიდა საკანალიზაციო ქსელი. მოეწყო რაგბის სტადიონი და ქალაქში არსებული მინი-სტადიონები, სანიაღვრე არხები, რეაბილიტირდა კუნძულის სანაპირო ზოლი და რუსთაველის რკალი, დაიწყო ახალი სატუმბი სადგურის მშენებლობა, რეაბილიტირდა მუსიკალური სასწავლებელი და კოლხური კულტურის მუზეუმი.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● ქ. მარტვილისა და სოფელ სერგიეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა გრძელდება. პროექტის ფარგლებში დაიგება 1857 მეტრი ასფალტბეტონის საფარი, ასევე მოეწყობა გზის გადამკვეთი ლითონის მილები, აგრეთვე ლითონის მილები ეზოს შესასვლელებში. პროექტის ღირებულება 652 875 ლარია. ამ ეტაპზე დასაქმებულია 30 ადამიანი, მუშაობს 10 ერთეული ტექნიკა.

გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი საბავშვო ბაღის შენობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით აშენდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული ხის ამორტიზებული შენობის ნაცვლად, სააღმზრდელო პროცესი 30 აღსაზრდელზე გათვლილ ახლადაგებულ თანამედროვე სტანდარტების შენობაში განახლდა.

საბავშვო ბაღი კეთილმოწყობილია სასადილო და საძინებელი ოთახებით, სამზარეულოთი და სველი წერტილებით, თანამედროვე ინვენტარით. სამუშაოებისთვის გამოყოფილი იყო 75 000 ლარი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამართულ შეხვედრაზე გამგეობის ხელმძღვანელებმა, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა, შპს„ ცისფერი ალის“ დირექტორ სულიკო ბარამიძესა და შპს„ საგარეჯოგაზსერვისის“ დირექტორ დავით როჭიკაშვილთან ერთად განიხილეს დაბა ჩხოროწყუს გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დაკვეთით, საპროექტო ორგანიზაცია„ საგარეჯოგაზსერვისი“ ასრულებს დაბა ჩხოროწყუს გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოებს, რომელიც 2–3 თვის ვადაში უნდა დასრულდეს, შემდეგ კი გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

ქალაქ წალენჯიხაში მიმდინარეობს №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ხოლო მაზანდარას ტერიტორიაზე ახალი ბაღი შენდება. №1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციოს სამუშაოების საპროექტო ღირებულება შეადგენს 330 000, ხოლო მაზანდარას საბავშვო ბაღის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 284 800 ლარია.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში

დაბა ბაკურიანში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის დასრულების შემდეგ ბაკურიანში გაიზრდება წყლის დებეტი, რაც ზამთრის სეზონზე ბაკურიანს 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფს.

სენაკი

პირველი ეტაპის სამუშაოები ითვალისწინებს არსებული სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, სატუმბ სადგურამდე და არსებულ წყლის გამწმენდ ნაგებობამდე მაგისტრალური მილის, აგრეთვე სატუმბი სადგურის მოწყობას, რომელიც შემდგომ წყლით მოამარაგებს დიდველის რეზერვუარს.

ბაკურიანში არსებული წყლის ინფრასტრუქტურა, დამსვენებლებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მზარდი რაოდენობის გამო, საჭიროებდა წყლის დებეტის შესაბამისად გაზრდას.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 3 მილიონ ლარამდეა. სამუშაოები 2018 წლის პირველ კვარტალში დასრულდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

სოფელ აკურთაში შიდა საავტომობილო გზის მშენებლობა დასრულდა, რითაც წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოგვარდა. ასფალტბეტონის საფარი სოფლის გზის 1000 გრძივ მეტრზე ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დააგო, მოეწყო აგრეთვე გვერდულები და სანიაღვრეები. გზაზე დამონტაჟდება სიჩქარის შემანელებელი ბორცვები.

გზის კეთილმოწყობა რეგიონებში განსახორციელებელი ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ერთობლივი დაფინანსებით განხორციელდა.

მარტვილი

დმანისის მუნიციპალიტეტში

● სოფელ მთისძირში მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები დაწყებულია. პროექტის ღირებულება 320 000 ლარია.

● სოფელ სარკინეთში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

მარაბდა-ქოთიშის 5-კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარი იგება, ასევე პარალელურად კეთდება სანიაღვრე არხები. სამუშაოები მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყო და 2018 წლის აპრილში დასრულდება.

წალკის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხაჩკოვი, კაბური, ბეშტაშენი, ოზნი, თრიალეთი, გუმბათი) დასრულდა წყალმომარაგების სისტემისა და სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგადაც აღნიშნულ სოფლებში გაუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდება. პროექტი დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მისი ღირებულება 230 960 ლარია.

გორის მუნიციპალიტეტში

გამყოფ ხაზთან მდებარე მერეთის თემის სოფლების სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით საირიგაციო სისტემის მოწყობა მიმდინარეობს.

ახალი საირიგაციო ქსელით გორის მუნიციპალიტეტის 4 სოფლის – მერეთის, გუგუტიანთკარის, ზარდიაანთკარისა და კოშკას 282 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება წყალუზრუნველყოფილი.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 1,7 მლნ ლარს შეადგენს, 2017 წლის ბოლოს დასრულდება.

2012 წლიდან შიდა ქართლის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო 45 პროექტი. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 20 855 ჰექტრამდეა გაზრდილი.

ელისაშვილის მესიჯი

ალეკო ელისაშვილი შალვა ნათელაშვილის ახალგაზრდობას და თამაზ მეჭიაურის სიბერეს მაგონებს.

აი, ამ ალეკო ელისაშვილმა, ერთმა კინკილა კაცმა, უფულომ, უპარტიომ, უპატრონომ, თბილისის მერის არჩევნებზე ხმების 17 პროცენტი აიღო და ისეთი ცნობილი და მრავალბრძოლაგადანატანი პარტიების წარმომადგენლებს გაუსწრო, როგორცებიცაა ლეიბორისტული პარტია, პატრიოტთა ალიანსი, ევროპული საქართველო, რესპუბლიკური პარტია, ვაშაძის პარტია და, რაც მთავარია, „ნაციონალური მოძრაობა“.

რა მოხდა, რამ განაპირობა ელისაშვილის ესოდენ დიდი და ეგზომ მოულოდნელი წარმატება?

რა მოხდა და ელისაშვილმა თბილისელების ერთი ნაწილი დაარწმუნა, რომ წესიერი და პატიოსანი კაცია და წესიერად და პატიოსნად მოემსახურებოდა თბილისს.

რამდენად წესიერი და რამდენად პატიოსანი კაცია სინამდვილეში ბატონი ელისაშვილი, ეს სხვა საკითხია, აქ იმის თქმაღა გვინდა, რომ ელისაშვილს სხვა კაპიტალი, სხვა რესურსი, რითაც ამომრჩევლების გულის მონადირებას მოახერხდებდა, არ ჰქონია.

მისი კაპიტალი, მისი რესურსი ესღა იყო — წესიერი და პატიოსანი კაცი ვარო, თქვა.

თქვა და დაუჯერეს.



დაუჯერეს იმიტომ, რომ უნდოდათ, დაეჯერებინათ, რომ ამ მილიონნახევრიან ქალაქში ერთი წესიერი და პატიოსანი კაცი მაინც იყო.

უმანკოებასა და უბიწოებაზე, ელისაშვილის გარდა, ბევრი სხვა პოლიტიკოსიც იქაჩება, მაგრამ ამომრჩევლებს მათი არ სჯერათ.

ან როგორ უნდა დაიჯერონ იმ პერსონის პოლიტიკური უბიწოება, რომელიც რამენჯერმეა „განათხოვარი“ სხვადასხვა პარტიებზე, თუმცა ყოველი „გამოთხოვების“ შემდეგ ირწმუნება, ქალიშვილი ვარო.

პოლიტიკურ უმანკოებაზე ღაღადებს ზალიკო უდუმაშვილიც, კაცი, რომელიც თხუთმეტი წელია, ბანდიტიზმსა და კრიმინალურ ქმედებებში ბრალდებული „ნაცმოძრაობის“ ტრიბუნი და რუპორია.

პატიოსნებასა და წესიერებას იჩემებენ „ნაცმოძრაობის“ განაყარი პარტიები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სახელის გამოცვლით მთელი შავბნელი ბიოგრაფიის გამოცვლასაც შეძლებენ.

ამ არჩევნებმა ნათლად დაგვარწმუნა, რომ, როგორც ნაცების, ისე პასპორტგამოცვლილი ნაცების მეტამორფოზისა ქართველ ამომრჩეველს არ სჯერა, ისე, როგორც არ სჯერა იმ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ორგანიზაციებისა, რომლებიც წლებია უკვე, სტაბილურად მაჩანჩალები არიან, თუმცა იხტიბარს არ იტეხენ და მაინც ლიდერებად და ქვეყნის მხსნელებად მოაქვთ თავი.

ქართველ ამომრჩეველს ძველი სახეებით განხიბლვის და ახალი სახეების ძიების ჟამი უდგას.

სწორედ ამ ძიების პროცესმა მიიყვანა ქართველ ამომრჩეველთა ერთი ნაწილი ალეკო ელისაშვილამდე.

ელისაშვილის წარმატება ერთგვარი მესიჯი უნდა გახდეს პოლიტიკური პარტიებისთვისაც, რომელთა უმრავლესობამაც დროა, ირწმუნოს, რომ მათი დრო წავიდა და სულ ტყუილად ემალებიან და ეტენებიან ქართველ ამომრჩეველს.

ქართული პოლიტიკური სპექტრი დამყაყდა, დაჭაობდა, დაიშტამპა.

ვიღაც-ვიღაცებს თუ ჰგონიათ, რომ პოლიტიკაში ახალი სახეები პოლიტიკაში ახალგაზრდების „გაწევას“ ნიშნავს და საქმეს ამით ეშველება, ძალიან ღრმად ცდება.

ახალგაზრდები ძველი კლიშეებით, გუშინდელი თუ გუშინწინდელი პოლიტიკური სინტაქსით და უკვე ყელში ამოსული ლოზუნგებით და სლოგანებით კიდევ უფრო აღიზიანებს ისედაც გაღიზიანებულ და იმედგაცრუებულ ელექტორატს.

ელისაშვილის წარმატების საიდუმლო იმაშია, რომ მან იმ სიმს ჩამოჰკრა, რომლის აჟღერებასაც, როგორც ჩანს, დიდი ხანია ელოდება უაზრო ბრახაბრუხით და ყალბი პათეტიკით გაბეზრებული პოლიტიკური აუდიტორია.

რამდენი სახელმწიფო ენაა საქართველოში?

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საარჩევნო ბიულეტენები სამ ენაზე დაიბეჭდა და დარიგდა — ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად, რაც ქართული სახელმწიფოს მხრიდან იმის ოფიციალურად აღიარებას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა ქართული ენა, სახელმწიფო ენა, არ იცის და, გამომდინარე აქედან, იძულებულნი ვართ, ბიულეტენები მათ მშობლიურ ენაზე მივაწოდოთ.

გამაოგნებელი ფაქტია, მით უმეტეს, როცა იცი, რომ არამარტო ეს ადამიანები, არამედ მათი წინაპრებიც, საქართველოში დაიბადნენ, ანუ სომხები და აზერბაინაჯელები საუკუნეებია, საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ენა, ქართული ენა, იმ დონეზეც კი ვერ ისწავლეს, რომ საარჩევნო ბიულეტენის უმარტივესი ტექსტის წაკითხვა და გაგება შეძლონ.

ცხადია, ყველა სომეხზე და აზერბაიჯანელზე არ ითქმის ეს, ბევრი მათგანი ჩინებული ქართულით მეტყველებს, მაგრამ რადგან საჭირო გახდა საარჩევნო ბიულეტენების სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე დაბეჭდვა, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ენის არმცოდნე სომხებიც და აზერბაიჯანელებიც მრავლად გვყოლია, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ისინი კომპაქტურად არიან დასახლებულნი.

საუკუნეებია, ისინი აქ ცხოვრობენ და ქართული ენა არ იციანო, ვთქვით ზემოთ.

კი, მაგრამ, კიდევ რამდენი საუკუნე უნდა გავიდეს, რომ ამ ადამიანებმა ქართული ენა ისწავლონ და ამ ქვეყნის სრულყოფილი მოქალაქეები გახდნენ?

გუშინ ჩამოსული ჩინელი თუ ინდოელი ახერხებს ქართულად ლაპარაკს, ამათ კი, ამ ჩვენს ძმებს და მოყვრებს, რა მოუვიდათ ისეთი, საუკუნეების განმავლობაში ქართული რომ ვერ ისწავლეს?

ცხადია, ნაწილობრივ ამ ადამიანების ბრალიც არის ეს,

მაგრამ მთავარი დამნაშავე, პირველ ყოვლისა, ქართული სახელმწიფოა, რომელმაც ვერ უზრუნველყო ამ ადამიანების ქართულ რეალობაში ინტეგრირება და გაუცხოებისა და გარიყულობისთვის გასწირა ისინი.

კარგად რომ დავუფიქრდეთ და სიტუაცია ობიექტურად შევაფასოთ, ძალზე სახიფათო და საგანგაშო სურათია — საქართველოში არის რეგიონები, სადაც ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, არ ვრცელდება, თუმცა ეს რეგიონები საქართველოს შემადგენლობაში შედის და იქ მაცხოვრებლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, სახელმწიფო კი თითქმის არაფერს არ აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

რით შეიძლება ეს ყველაფერი დამთავრდეს, ამაზე თუ ფიქრობს ვინმე ამ ქვეყანაში და თუ ფიქრობს, სად არის ამ ნაფიქრალის შედეგი?

გიორგი გამეზარდაშვილი

უჩინარი ომი წყვდიადის მოსასხამის ქვეშ

მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, აშშ-ის ტერიტორიაზე, დაახლოებით 113 კმ სიგანის ზოლში ორეგონის შტატიდან სამხრეთ კაროლინამდე, მზის სრული დაბნელება დაფიქსირდა, მოვლენა ხილული გახლდათ აიდაჰოს, უაიომინგის, ნებრასკის, კანზასის, მისურის, ილინოისის, კენტუკის, ტენესის, ჯორჯიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინის ტერიტორიის გარკვეული ზონებიდან. მზის სრული დაბნელების დროს, დედამიწაზე, მთვარის ჩრდილქვეშ მოქცეულ არეალში მწუხრი ისადგურებს, ძალიან უცნაური მოვლენა – ნათელი დღის შუაგულში. სრული დაბნელების დასაწყისსა და დასასრულს, დამკვირვებლები ხედავენ თუ როგორ გადაადგილდება მათ თავზე „წყვდიადის მოსასხამი“, რაც არ შეიმჩნევა ნაწილობრივი დაბნელების დროს. მზის არც სრული და არც ნაწილობრივი დაბნელება არ ჩანდა საქართველოდან, რადგან ამ დროს ჩვენს ქვეყანაში უკვე საღამო იყო (20:04 - საათი). აშშ ერთადერთი ქვეყანა იყო სადაც მზე სრულიად დაბნელდა. მოვლენის სანახავად უამრავი ტურისტი სტუმრობდა ქვეყანას. „ნასა“-ს ადმინისტრატორმა თომას ზურბუჩენის განცხადებით – „ისე როგორც არასდროს“ ამ ციურ მოვლენაზე დაკვირვება განხორციელდა კოსმოსიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან. აღნიშნული მოვლენის დაკვირვება, ფოტოგრაფირება არაერთი საჰაერო ხომალდიდან, მათ შორის“ ნასას“ ხომალდებიდან და საერთაშორისო კოსმიურ სადგურზე მყოფი ასტრონავტებისგან ხდებოდა. მსურველებს ინტერნეტში შეეძლოთ ეხილათ პირდაპირი ტრანსლიაციაც. თითქოს უჩვეულო არაფერი ხდებოდა, მაგრამ 22-ი აგვისტოდან დამოუკიდებელი წყაროებიდან საგანგაშო ინფორმაციები გავრცელდა. ავტორებს აინტერესებდათ, მზის დაბნელების მომენტში, რატომ დასჭირდა აშშ-ს მთავრობას საჰაერო ბურთების საშუალებით, ბაქტერიების სტრატოსფეროში გაშვება? დოკუმენტური ფილმების მკვლევარმა და რეჟისორმა კასისუს კამარამპმ ნასას და აშშ-ს ხელისუფლებას თავის წერილში უამრავი კითხვა დაუსვა – „რატომ, რატომ, რატომ!?“ მისი წერილიდან (და არამარტო) ირკვევა, რომ 34-საჰაერო ბურთის მეშვეობით „მონტანის“ უნივერსიტეტის თანამშრომლის ანდჟელ დეზ ჟარდინცის ხელმძღვანელობით, აშშ-ს სკოლის უფროსკლასელებმა, კოლეჯის მოწაფეებმა პროექტის **„Eclipse Ballooning“**-ის ფარგლებში საჰაერო ბურთებში მოთავსებული ბაქტერიები სტრატოსფეროში გაუშვეს. როგორც ირკვევა, ისტორიაში პირველად, ხელისუფლება ნასასთან ერთად აკვირდებოდა მზის დაბნელებას. თითქოს მათ აინტერესებდათ, თუ რა რეაგირებას მოახდენდნენ მარსის ზედაპირზე ბაქტერიები. მიკროორგანიზმები, მცირე ზომის, ორი მეტალის ფირფიტაზე დაამაგრეს და ისე მოარგეს საჰაერო ბურთს. ორგანიზატორები ირწმუნებოდნენ, რომ ჰაერში გაშვებული ბაქტერიები ადამიანებისთვის საშიში არ იყო. ორიდან ერთი ფირფიტა სტრატოსფეროში დაფრინავდა ხოლო მეორე დედამიწაზე საკონტროლო ჯგუფში რჩებოდა. საჰაერო ბურთებს ყოველ 15-წუთში უშვებდნენ რომლებიც მთვარის ჩრდილის გზაზე იმყოფებოდნენ ისინი დაფრინავდნენ დაახლოებით 2 საათის განმავლობაში მიაღწევდნენ სტრატოსფეროს და ბოლოს ეშვებოდნენ წნევის დაშვების გამო. როგორც კი დედამიწაზე ბრუნდებოდნენ მოსწავლეები აკვირდებოდნენ მათ და შემდეგ ნასას უბრუნებდნენ. სავარაუდოდ სტრატოსფეროში გაშვებული შტამი, სწორედ ის მყარი ფაქტერია გახლდათ რომელიც 1973-ე წელს, აღმოჩენილი იქნა კოსმიურ აპარატზე კენედის სახელობის კოსმიურ ცენტრში... დაინტერესებულ საზოგადოებას, შესთავაზეს მათთვის ხელსაყრელი ვერსია, რომლის მიხედვითაც თითქოს, ნასას მოქმედება ინიცირებული იყო სტუდენტების მიერ, რომლებიც მონტანას შტატის უნივერსიტეტში მუშაობენ, ამგვარი განმარტება მხოლოდ აძლიერებს ეჭვს, რომ აქ უფრო სერიოზული რამ იმალება. რატომ ამტკიცებს ნასა რომ დედამიწის სტრატოსფერო დაბნელების დროს მარსს წააგავს? შეიძლება ჩამოვთვალოთ უამრავი მაგალითი სადაც ზეციური სხეულები ზეგავლენას ახდენენ ცხოველებსა და სიცოცხლის სხვა ფორმებზე. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „ნასას“ ან სწამს ან ზუსტად იცის რომ დაბნელება გავლენას ახდენს ყველა ორგანიზმზე და მათ სურთ იცოდნენ როგორ ზეგავლენას მოახდენს დაბნელება ადამიანის ორგანიზმზე, მაგრამ ისინი კვლევის შედეგებს და მიზეზებს არასოდეს გვეტყვიან. მკვლევარები არ გამორიცხავენ, რომ დედამიწას „მავანნი“ მარსის ბედს უმზადებენ, ხოლო დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები, სავარაუდოდ მათ ბედს გაიზიარებს ვინც თავის დროზე მარსზე ცხოვრობდა... დიდი ამერიკული დაბნელების შემდეგ, თვითმხილველები აზიარებდნენ ფოტოებს უცნაური ანომალიებით, რომელიც აღნიშნული დაბნელების დროს მოხდა. დაბნელების შემდეგ მრავალმა თვითმხილველმა ინტერნეტში ატვირთა 300-ზე მეტი ფოტო, რომლებზეც ძალზე უცნაურ ანომალიები აშკარად ჩანდა. მთავარი ის არის, რომ ათობით მილიონი ადამიანი აკვირდებოდა ამ დაბნელებას და ისინი ვერც კი ხვდებოდნენ რომ განწირული იყვნენ, რადგან ვრცელდებოდა საშინელი ინფორმაცია დაბნელების დროს „სტარტოსფეროში“ ბაქტერიების გაშვების შედეგებზე. ნასას ინსაიდერმა, „ნასას“ პარტნიორ – სტენფორდის უნივერსიტეტის ბიოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, გაავრცელა ცნობა რომ ყველა ბაქტერიამ საშინელი მუტაცია განიცადა, დეტალები უცნობია, მაგრამ მეცნიერებმა დაასკვნეს რომ ეს დაბნელება იყო სხვა დაბნელებისგან მკვეთრად განსხვავებული, გაურკვეველი ექსპერიმენტის „წყალობით“ მან მიაყენა დარტყმა ყველას ვინც ამას უყურებდა და ისინი ამას სამი თვის შემდეგ იგრძნობენ.



ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის თანხმობის გარეშე, რომ მოსახლეობაზე საშინელ ექსპერიმენტებს ვერავინ ჩაატარებს ფაქტია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის „არქიტექტორებთან“კუდებით არიან გადაფსკნილები ქვეყნის პირველი პირები? ამიტომაც ბევრ ქვეყანაში გაიხსნა „ამოუცნობი“ ლაბორატორიები რომლებიც ხალხის კეთილდღეობას ნამდვილად არ ემსახურება და მხოლოდ სამხედრო დანიშნულება გააჩნია. სამწუხაროდ, გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა 2011 წელს, საქართველოს ეწვია სენატორი რიჩარდ ლუგარი, მიხეილ სააკაშვილმა მისთვის დამახასიათებელი მანერით ლაბორატორიის გახსნა წარმოაჩინა, როგორც „სტრატეგიული მნიშვნელობის“ მოვლენა. ცენტრის დათვალიერების შემდეგ მან განაცხადა: „ამ დონის ინვესტიცია საბჭოთა დროს რუსეთს საქართველოში არ ჩაუდია“. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებდა ილუზიის შესაქმნელად, რომ აშშ-ის უშუალო დახმარებით და ინვესტიციით საქართველოში დაარსდა სამხედრო დანიშნულების მძლავრი სტრატეგიული ობიექტი, რომელიც, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლების აგრესიული ქმედებების განეიტრალებას ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ შტამების საცავის უშუალოდ სამხედრო აეროდრომთან განლაგება დამკვირვებლებში წარმოშობდა ეჭვს ამ პროექტის სამხედრო დანიშნულებაზე. აღსანიშნავია, რომ პირველი, ვინც ლუგარის ლაბორატორიისგან მომდინარე საფრთხეზე დაიწყო ლაპარაკი, გახლდათ ამერიკელი ჟურნალისტი, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი ჯეფრის ილვერმანი. მისი განცხადებით“ლუგარის ლაბორატორიაში, რომელიც მდებარეობს თბილისის გარეუბანში, აწარმოებენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს და ცდიან ადგილობრივ მოსახლეობაზე... დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ.

...აშშ-ის რეფერენს-ლაბორატორიები გახსნილია ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ქვეყანაში. ლაბორატორიების შესაბამისად აშშ უზარმაზარ თანხებს ხარჯავს, მაგალითად, უკრაინაში 175 მლნ დახარჯეს, საქართველოში – 150 მლნ, ყაზახეთში – 130 მლნ. სომხეთში ასეთი ლაბორატორია მოქმედებს ერევანში, აგრეთვე, გიუმრისა და იჯევანში (სომხეთში სამივე ლაბორატორია 2016 წელს გაიხსნა – ფაქტია, რომ აშშ-ს, კერძოდ, პენტაგონს, რომელიც დიდძალ ფულს ხარჯავს ბიოლაბორატორიების ქსელის შესაქმნელად, პოლიტიკური და სამხედრო მიზნები აქვს.ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ასეთი ლაბორატორიების ამუშავების შემდეგ მსოფლიოში შეინიშნება სხვადასხვა ვირუსისა და დაავადების შემთხვევათა მკვეთრი მატება, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ციმბირის წყლულით დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა სწორედ ლუგარის ბიოლოგიური ლაბორატორიის ამოქმედების შემდეგ აღირიცხება.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ღვთაება მარდუკის მთავარი ტაძარი ესანგილა და სატაძრო გოდოლი ზიქურ(ა)თი (ზიკურტი) — „ეთემენანქი“ ბაბილონის ცენტრში შვიდსართულიანი ყოფილა, მაგრამ ჰეროდოტე რვასართულიანად თვლიდა. ისმის კითხვა, რატომ, ჰეროდოტემ თვლა არ იცოდა? საქმე იმაშია, რომ ჰეროდოტე ითვლიდა მიწისქვეშ არსებულ კიდევ ერთ სართულს, საძირკველს, რომელსაც „ქგალლუ“ ერქვა, ანუ „შემოგევლე“.

მრავალი შუმერული სიტყვა, ასევე ტერმინები — ღმერთების, ტაძრების, ქალაქების, მთების, მდინარეების, ლიტერატურული გმირების, არქიტექტურული ძეგლების სახელები იხსნება მხოლოდ მეგრულ ენაზე, მათ შორის შუმერის უდიდესი ღმერთებისა და ტაძრების, მაგალითად: ანის, აქითუს, ნანას, ენლილის, ენქის, მარდუკის, ეანას, ექურის, ენგურის, ეშარას და ა.შ სახელები.

ინგლისელი არქეოლოგის ლეონარდ ულის მიერ მესოპოტამიაში გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ იქ ძვ.წ XXV საუკუნის შემდეგაც ცხოვრობდნენ ბანანურ (მეგრულ-ლაზურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები და ურის III დინასტიის დაცემის გამო გლოვის ნიშნად შექმნეს ლიტერატურული ნაწარმოები „ურუში გარა“ — „ურის ტირილი“, „ურის გოდება“.

„კოლხი“, „კოლხა“ ქართული ლურსმნული დამწერლობით მოღწეული წერილობითი წყაროებით ჩვენი სახელმწიფოს უძველეს დედაქალაქად არის აღიარებული, რომელიც ჩვენივე ქვეყნის მეფემ, ანმარემ დაარსა. ანმარეს ზეობის ხანა მისივე დროის „საბუთებითაა“ ცნობილი — 3185–3120 წლები. მისი სავარაუდო სურათი არაქართველ მეცნიერთა მიერ ინტერნეტში იყო განთავსებული, მაგრამ სამწუხაროდ, ამჟამად რატომღაც მიუწვდომელია. სურათი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ანმარესა და თათუ-ნეფერტიტს, ორივეს, ერთნაირი გვირგვინი ადგათ (ახურავთ).

როგორც ჩანს, ქვეყნის სახელი „ენგურ“ („სამეგრელო“) მისი დედაქალაქის „კოლხა-ს“ სახელზე უძველესია. დედაქალაქი კოლხას სახელი ქვეყნის სახელი გახდა, რომელსაც შემდგომში სახელი შეუცვალეს იუდეველებმა, „ნიმროდი“ უწოდეს და ანმარეც გადაიქცა ნიმროდად, მაგრამ მეფე ანმარემ რომ ააგებინა (აგებდა) ღმერთებამდე ასამაღლებელი ბაბილონის ტაძარი ანუ გოდოლი, ამას ვერავინ გაურბის.

მეფე ანმარემ დედაქალაქი კოლხა დაარსა თავისი ვრცელი სახელმწიფოს შუაგულში, მდინარეების იდიგნასა და ძაბის შესართვათან, ანუ ხ-ერთვისში.

მეფე ანმარე („ან“ — ზეცა, „მარე“ — კაცი, „ზეცის კაცი“) დღევანდელი საქართველოს გარდა მართავდა მიმდებარე ტერიტორიებს: სამხრეთით მეგრელთა ყურემდე (ამჟამინდელი სპარსეთის ყურე), დასავლეთით — ნილოსის ხეობის ჩათვლით „წითელ“ და „შავ მიწებს“, ვრცელ ადგილებს მოქცეულს მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიის იბერიის ანუ ივერიის ნახევარკუნძულის (პორტუგალია-ესპანეთი) ტერიტორიებს ხმელთაშუა ზღვის აუზით. (ნ. ფოფხაძე „თუთარჩელა“ 2005 წ)

დედაქალაქი „კოლხა“ რამდენჯერმე ნახსენებია ყურანშიც. Aნაბიქალდე-ნეკარის (უცხოელები შეცდომით ნაბუქოდონოსორად მოიხსენიებენ) მეფობისასაც კი, ათასწლეულების შემდეგაც, ქალაქი კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო.

უცხოელმა მეცნიერება გამოაქვეყნეს მასალები სათაურით „უცნობი ქართველური ენა და მესოპოტამიაში ქართული დინასტიის მმართველობის 600 წლისთავი.“ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსენკისი წერს, შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ კასიტური (კოსების) ენა კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა. მისი მატარებელი დინასტია მართავდა ბაბილონს ძვ, წ. აღ-ით XVIII საუკუნის შუა წლებიდან ძვ.წ. აღ-ს XII საუკუნემდე.

ძნელია არ დაეთანხმო ენათმეცნიერ ლევან ღვინჯილიას: — „რამდენი ანბანია მსოფლიოში 14 თუ 16? მსოფლიოში 14 ანბანი (ანუ დამწერლობა) კი არ არის, არამედ 14 ერს აქვს საკუთარი ანბანი. რაც შეეხება დამწერლობას, დღემდე ცნობილია არა 14 არამედ 16 და მათგან 3 ქართულია: (14) ასომთავრული; (15) ნისხა-ხუცური და (16) — მხედრული.“

მსოფლიოში ცნობილი ფილოლოგი ბარონი ფონ ლიხტენბერგი (ჟურნალ „ემეხონის“ რედაქტორი) ამბობდა: „მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე 24 ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი თითოეული ბგერისა — მე სხვა ალფაბეტი არ მეგულება.“

ფაქტობრივად, იგივეს ამბობენ ის სხვა მსოფლიო დონის მეცნიერები, რომელთაც ქართულ ანბანთან შეხება ჰქონიათ, რომ ქართული ანბანი უკლბლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც ანბანს მოეთხოვება და არის ყველაზე სრულყოფილი ანბანი ანბანთა შორის, რადგან ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით და ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამომხატველია; ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის...

აქამდე არავის შეუნიშნავს და

აღუნიშნავს ის, რაც თაკო კვარაცხელიამ გამოიტანა სააშკარაოზე და თვალსაჩინოდ დევს — რომ მსოფლიოში არ მოიძებნება ენა, რომელშიც ერთი ასოთი ითქმის სიტყვა, მეგრულში (კოლხურში) კი — არის.

გ — ჰგავს;
შ — აზსოვს;
ძ —ძევს;
ლ — ვარდება;
ჩ — აჭამა;
წ — წელს;
ჭ — კუჭი;
ტ — ჯიქანი;
კ — ითქმის კარგ ადამიანზე და სხვა.

„ზეცის კაცები“

რატომ იყო „ზეცის კაცი“ ანმარე, რა შინაარსს ატარებს მისი სახელის ამ სახით ფორმულირება? — ჩნდება კითხვა, მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ მეცნიერთა ერთი ნაწილის ვარაუდს, რომ მხოლოდ უცხოპლანეტელების დახმარებით თუ შეძლებდნენ მრავალტონიანი ქვის ფილების აწევას აღდგომის კუნძულზე უნაჩები.

ანმარეს შემდგომი მეფე იყო მარედიხა. „მარე“ — კაცი (სვანური), „დიხა“ — მიწა (მეგრული), მიწისგან შექმნილი, მიწის კაცი, ანუ მკვერად გამიჯნულია ერთმანეთის მიყოლებით გამეფებული პირების სახელები „წარმოშობის“ მიხედვით.

ნორვეგიელი მკვლევარი და მეცნიერი ტურ ჰეიდრალი (1914–2002 წ) ერთადერთი იყო ვინც დაიჯერა რაპა-ნუის კუნძულელთა ზეპირგადმოცემა, რომ კუნძულის პირველი მოსახლეები ჟღალთმიანი თეთრკანიანები იყვნენ. (აღწერილობით ისეთივენი, როგორებიც იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოსა და ჰონსიუზე მცხოვრები გაურკვეველი წარმოშობის აინები; როგორც ინკების, მაიასა და აცტეკების ღვთაებები; როგორც შუა საუკუნეებში ესპანელი მისიონერების აღწერილი გაბატონებული რასა ამერიკის კონტინენტზე; როგორც ეგვიპტელი ფარაონები და ა.შ)

1947 წელს ჰეიდრალიმ პერუდან პოლინეზიამდე ხის მორებისაგან შეკრული პრიმიტიული კატამარანით მოაწყო ექსპედიცია და უკვე დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ წყნარი ოკეანის აღნიშნული კუნძულები სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან ჩამოსული ხალხით იყო დასახლებული. ამჟამინდელ მკვიდრთა გენეტიკურმა ანალიზმა ადგილობრივ მკვიდრთა პოლინეზიური წარმომავლობა ეჭვქვეშ დააყენა.

ტიტიკაკას ტბასა (პერუსა და ბოლივიის საზღვარზე) და ლათინური ამერიკის სხვა ადგილებშიც იზრდება ლერწმის ერთგვარი სახეობა ტოტორა, რომელსაც სამშენებლო დანიშნულება აქვს და მისგან ნავებსაც თლიან დღემდე. აღდგომის კუნძულების კრატერების გარშემო სწორედ ეს მცენარე იზრდება. ჰეიდრალიმ გამოთქვა ვარაუდი, რომ კუნძულებზე ეს მცენარე ინკებმა შეიტანეს და გაამრავლეს. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ის ენდემური მცენარეა და რაპა-ნუიზე 30000 წლის წინ, ანუ კუნძულის პირველ მოსახლეების (პოლინეზიელები იქნება თუ ინდიელები) გამოჩენამდე ბევრად ადრე იზრდებოდა იქ.

რაპა-ნუის ხალხი უცხოპლანეტელთა ტექნოლოგიებს ფლობდაო (შეადარეთ იგივე ვარაუდი მაიას, ინკებისა და აცტეკებთან) — თავისი თეორიების განვითარებისთვის მკვლევარი ერიხ ფონ დენიკენი ისეთ არქეოლოგიურ მემკვიდრეობას იშველიებს, როგორიცაა ეგვიპტის პირამიდები, აღდგომის კუნძულის მოას ქანდაკებები, ნასკას ხაზები და ბიბლიის აპოკრიფული ტექსტები, რომელთა მეცნიერული შესწავლა სრულფასოვნად არ მიაჩნია. იგი წიგნში „ღმერთების გზავნილი“ ამტკიცებს, რომ მოას ქანდაკებების გამოსაკვეთად



კუნძულელებს უცხოპლანეტელებმა (ციდან მოსულმა „ვიღაცებმა“) სრულყოფილი სამუშაო იარაღები უსახსოვრეს და სწორედ მათი ხელმძღვანელობითა და ტექნოლოგიებით ამზადებდნენ უზარმაზარ ყალიბებს და ავსებდნენ ვულკანიდან გადმოდინებული ლავით. მკვლევარი ვერ ხსნის რატომ დატოვეს უცხოპლანეტელებმა კუნძული, მაგრამ ხსნის რატომ ვეღარ შეძლეს შემდგომშიც ამ საქმიანობის გაგრძელება კუნძულზე დარჩენილებმა.

იგი თვლის, რომ საქმის მდინარეობა ასე წარიმართებოდა — უცხოპლანეტელების წასვლის შემდეგ, დროთა განმავლობაში ხელსაწყოები ხავსით დაიფარა და მათი გამოყენება ვეღარ შეძლეს, მაგრამ შემდგომმა თაობებმა ჩათვალეს, რომ წინაპრების ეს ტრადიცია უნდა გაეგრძელებინათ, ამიტომ წაწვეტებული ქვებითა და კაჟის ცულებით წამოიწყეს გიგანტური მონუმენტების შექმნა. ბუნებრივია, ამგვარი პრიმიტიული „ხელსაწყოებით“ მიზანს ვერ მიაღწევდნენ და თავი დაანებეს, აი, ეს „ინტრუმენტები“ ნახეს მოგვიანებით კუნძულის პირველმა მკვლევარებმა. ყველა მეცნიერული ვარაუდი თუ დასკვნა და გაურკვეველი წარმოშობის ხალხთა ზეპირსიტყვიერი გადმოცემა მეტ-ნაკლებად ნაკლებად უახლოვდება ზეცას და ზოგ შემთხვევაში სულაც ზეციდან მოსულთა მიერ დედამიწაზე გადმოტანილ ცივილიზაციას თუ „რაღაც“ სწავლებას.

აი(ა)ნები არიან, ეგვიპტელი ფარაონები იყვნენ თუ კოლხი მედია, პირდაპირ ამბობდნენ რომ მზის შვილები იყვნენ, ანმარე კი პირდაპირ „ზეცის კაცად“ იწოდებოდა. კოლხი (ქართველი) მეფეები და მმართველები მზის შვილებად თვლიდნენ თავს და ზეცის სრული ძალაუფლებით იყვნენ გამყარებულები. კოლხებისთვის დედა — მზე იყო, მამა — მთვარე. კოლხი მედეა რისამე მტკიცებულებისას ამბობდა: „ვფიცავ მზეს, მთვარეს და მიწას“... დღემდე მღერიან მეგრულ (კოლხურ) ხალხურ სიმღერას „ბჟა დიდა რე ჩქიმი, თუთა — მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი“ („მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამაჩემი, მოკაშკაშე ვარსკვლავები — და და ძმაა ჩემი“ — აკ. შანიძის თაგმანი)

და მაინც, რა იგულისხმება „ზეციდან მოსულებში“? საიდან უნდა ჰქონოდა ისეთი რუკა თურქ ადმირალ რეისს (ან კოლუმბს) მე-16 საუკუნეში, რომლის შედგენაც მხოლოდ აეროგადაღებით იყო შესაძლებელი? რატომ აქვს მსოფლიოს უძველეს ხალხთა ზღაპრებს შემონახული ამბავი მფრინავ ხალიჩაზე? ამბავი გამოგონილ ზღაპრულ ფრინველ ფასკუნჯზე? ფრთოსან რაშზე ან ფრთოსან გველეშაპზე (დრაკონზე)?

საინტერესო და დამაფიქრებელია, რატომ გამოსახავდნენ დრაკონს ერთმანეთთან არანაირ კავშირში მყოფი უძველესი ცივილიზაციები ინდოეთში, მექსიკაში, ჩინეთში, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, მით უფრო, რომ დრაკონი ბუნებაში არ არსებობს? — დრაკონს, როგორც მითოლოგიურ პერსონაჟს, ვხვდებით შუმერულ, ეგვიპტურ, ინდურ, ჩინურ, ბერძნულ, მექსიკურ და ანდების ცივილიზაციებში.

(გაგრძელება იქნება)

ახალგაზრდული შეხვედრები ბაკურიანში

ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია **"Bridge to the Future"** 18–25 ოქტომბერს დაბა ბაკურიანში **Erasmus+** ეგიდით მასპინძლობს საერთაშორისო ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამას- **„So Far, So Good"**. პროგრამა დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ და მასში მონაწილეობას იღებენ 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდები საქართველოდან და პორტუგალიიდან.

აღნიშნული გაცვლითი პროგრამის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა; ასევე შესაბამისი გარემოს შექმნა იმისათვის, რათა ახალგაზრდებმა გამოხატონ საკუთარი აზრი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიანი, დემოკრატიული და ინკლუზიური მომავლის შენებაში.

"Bridge to the Future" 2012 წლიდან მოხალისეობრივ საფუძვლებზე აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებს ევროკავშირის ფარგლებში, მათ შორის: გაცვლით პროგრამებსა და ტრენინგებს.

საერთაშორიო გაცვლით პროგრამაში –**„So Far, So Good"** მონაწილე ქართველი ახალგაზრდები სხვადასხვა რეგიონებიდან არიან შერჩეულები; მათი გაკვეული ნაწილი გახლავთ იძულებით გადაადგილებული და ხელმოკლე ოჯახებიდან.

აღნიშნული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ უკეთ გაეცნოთ ქართული კულტურა, ტრადიციები და მოენახულებინათ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილები; გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრა მონაწილე ახალგაზრდებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, სადაც მონაწილები უკეთ გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საქართველო და ევროინტეგრაცია, ევროპული კულტურა და ღირებულებები. ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობა, რეგიონში არსებული პრობლემები და პერსპექტივები.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა, მათ შორის ინტერკულტურულმა დღეებმა, სიმულაციურმა თამაშებმა, დისკუსიებმა და სხვ; საფუძველი ჩაუყაროს უცხოელ თანატოლებთან მეგობრობასა და თანამშრომლობას. ახალგაზრდებმა მეტი ინფორმაცია მიიღეს არაფორმალური განათლებისა და **Erazmus+** პროგრამისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

®

„საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

– არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?

დიახ, ვალდებულია. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

* * *

– შემიძლია თუ არა, თანხა გავასესხო პროცენტით?

– დიახ, შეგიძლიათ.

მუხლი 625. პროცენტი სესხისათვის – სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი.

* * *

– გთხოვთ, გაგვაცნოთ მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების წესი.

– მუხლი 1139. მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების წესი

1. მეუღლე, რომელსაც განქორწინება სურს მსჯავრდებულ მეუღლესთან, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის პირი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეუღლეს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 3 წლისა.

2. შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს პატიმრობაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს პასუხის შეტყობინების ვადა იმის თაობაზე, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

3. თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

* * *

– ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ერთი მცირეწლოვანი შვილი. ჩემს ქალიშვილს ამ დრომდე არ მოუთხოვია ყოფილი მეუღლისაგან ალიმენტის გადახდა. ახლა გადაწყვიტა, შეიტანოს სარჩელი სასამართლოში. რა საბუთები დაგვჭირდება? ეკუთვნის თუ არა ჩემს შვილიშვილს აქამდე მოუთხოვნელი ალიმენტი?

– სარჩელს უნდა დაერთოს ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ასევე, ყოფილი მეუღლის სამსახურიდან ხელფასის ცნობა, თუ, რა თქმა მუშაობს ეს უკანასკნელი. სახელმწიფო ბაჟს არ გადაიხდით. ალიმენტის მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის გადახდას არ ითვალისწინებს, კანონის შესაბამისად.

თქვენი შვილიშვილი ალიმენტის თანხას მიიღებს მხოლოდ სარჩელის შეტანის დღიდან. გასული პერიოდის თანხას ვერ მიიღებთ.

* * *

– როგორია გამოსაცდელი ვადის საკითხი არასაჯარო, ანუ კერძო საწარმოებში?

– საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსის"შე- 9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით; სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

მე-2 ნაწილი: დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

მე-3 ნაწილი: გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა /რაც გულისხმობს შემდეგს: შრომითი ხელშეკრულების დამქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება/, თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

* * *

– უარს ვამბობ სამკვიდროდან ჩემი წილის მიღების შესახებ დის სასარგებლოდ. რა ფორმით, რა ვადაში უნდა გავაკეთო ეს?

– თქვენ უფლება გაქვთ, უარი თქვათ სამკვიდროს მიღებაზე როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. უარის თქმისთვის, კანონმდებლობით დადგენილია სამთვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როცა თქვენ შეიტყვეთ ან უნდა შეგეტყოთ, რომ მიწვეული ხართ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად შეუდექით სამკვიდროს ფლობას – ამ დროს, ეს ვადა შეადგენს 6 თვეს.

ჭრელი გვერდი

ნაპოვნია ჟიულ ვერნის მიერ მომავალში გაგზავნილი ამანათი

ამ ცოტა ხნის წინათ პარიზის დეკარტის უნივერსიტეტისა და ნიუ-იორკის კვლევითი კლუბის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ საფრანგეთში აღმოჩენილია ლითონის დაჟანგული კაფსულა, რომელიც, სავარაუდოდ, გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ჟიულ ვერნმა დააშზადა. არქეოლოგებმა იპოვეს რკინის ყუთი, რომელიც 1800-იანი წლების ბოლოთი თარიღდება. მასში მოთავსებულია დოკუმენტები, ლითონის სხვადასხვა ზომისა და ფორმის საგნები. კვლევარები ვარაუდობენ, რომ ამ ყუთში, შესაძლოა, ჟიულ ვერნის გამოუქვეყნებელი მასალებიც იდოს.

ყუთი პირენეებშია ნაპოვნი. ამასთან, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც არქეოლოგებმა შეისწავლეს ჟიულ ვერნის საარქივო დოკუმენტები, სადაც ნათქვამი იყო, რომ მწერალი მომავალში ასეთი გზავნილის გაკეთებას აპირებდა.

ამჟამად დიდი სიფრთხილით მიმდინარეობს სამუშაოები, რადგან კაფსულის შიგთავსი დაზიანებულია. მისი შესწავლა ჯერჯერობით რენტგენის სხივებით ხდება.

უცხოპლანეტელების ბაზა ანტარქტიდაში

კვლავაც გაგვახარეს იმ ადამიანებმა, რომლებიც დაწვრილებით შეისწავლიან თანამგზავრიდან გადაღებულ სურათებს და მაში საშუალებით საინტერესო ადგილებს და მოვლენებს ეძებენ.

ამჯერად ეს გახლავთ უცხოპლანეტელების ბაზა, რომელიც ანტარქტიდის მატერიკზე, კვლევითი სადგურებიდან დიდი მანძილის დაშორებით იქნა აღმოჩენილი. „ბაზა“ წარმოადგენს იდალურ წრეს, რომლიც დიამეტრი 40 მეტრია. უფოლოგების მტკიცებით, მოცემული ობიექტი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა წყლის სიღრმეში, მაგრამ კოსმოსიდან არ ჩანდა და მხოლოდ მსოფლიო ოკეანის წყლის დონის ცვლილებისა და თანამგზავრიდან მიღებული ფოტოების ხარისხის გაუმჯობესების შედეგად გახდა შესაძლებელი მისი დანახვა.

ანტარქტიკის სადგურების თანამშრომლები არ ჩქარობენ აღნიშნული ობიექტის ნამდვილობის დადასტურებას, მით უმეტეს, რომ ის წყლის ქვეშ მდებარეობს. საქმე ის გახლავთ, რომ ამგვარი ხასიათის ცნობები ბევრად აღემატება იმ ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც იქ მუშაობენ.

უძველესი ანტიბიოტიკები

ანტიბიოტიკები XX საუკუნეში აღმოაჩინეს. თუმცა ამ ცოტა ხნის წინათ ნუბიაში (ოლქი ეგვიპტისა და სუდანის ტერიტორიაზე) იქნა ნაპოვნი ძვლები, რომლებიც ჩვ.წ.აღ-მდე 550 წლით თარიღდება, რომლებშიც ანტიბიოტიკი ტეტრაციკლინი აღმოჩნდა. მეცნიერებმა წამოაყენეს ვარაუდი, რომ ტეტრაციკლინი ძვლებში დიდი რაოდენობით ლუდის მიღების გამო აღმოჩნდა, რომელსაც ნუბიელები მიირთმევდნენ. ნუბიური ლუდის საფუარში დიდი რაოდენობით იყო სტრეპტომიცეტის ბაქტერიები, რომლებიც ტეტრაციკლინის წარმოებაში გამოიყენება.

უძველესი სახარება ნაპოვნია მუმიის ნიღაბზე

დღემდე უძველეს სახარებად ითვლებოდა დოკუმენტები, რომლებიც მეორე ასწლეულით თარიღდებოდა (ჩვენი წელთაღრიცხვიდან 100 წლით აქეთ). თუმცა, კანადელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს მარკოზის სახარების ფრაგმენტი, რომელიც ჩვენი ერის 90 წლამდეა დაწერილი. ეს ნაგლეჯი ეგვიპტური მუმიის ნიღბის შემადგენლობაშია ნაპოვნი.

უბრალო ადამიანების მუმიფიცირებისთვის ვერ ამზადებდნენ ნიღბებს ვერც ხისგან და, მით უმეტეს, ვერც ოქროსგან. ამიტომ ნიღბები პაპირუსისა და ქაღალდისგან მზადდებოდა პაპიერუსის პრინციპით. თავად ნიღბები ისტორიულ ფასეულობას არ წარმოადგენს, მაგრამ მასალა, რომელიც ამ ნიღბების დასამზადებლად გამოიყენებოდა (ისევე, როგორც ამ შემთხვევაში), დიდ ინტერესს იწვევს. სახარების ფრაგმენტის მოსაპოვებლად ნიღბის დაშლა გახდა საჭირო, მაგრამ ამის გამო ტექსტი არ დაზიანებულა. ფრაგმენტის შინაარსი ჯერჯერობით არ გახმიანებულა.

აღმოჩენილია დედამიწაზე არსებული პირველი კონტინენტი

დაახლოებით მილიარდი წლის წინათ თანამედროვე ინდოეთის ოკეანის ადგილას მდებარეობდა უდიდესი კონტინენტი როდინია. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გეოლოგები, რომლებმაც მისი კვალი კუნძულ მავრიკიაზე აღმოაჩინეს. „ქვიშის ნაწილაკებში, რომლებიც კუნძულს ფარავს, აღმოჩენილია ცირკონები, რომლებიც მხოლოდ კონტინენტური ქერქისთვის არის დამახასიათებელი. თავად ქვიშის ნაწილაკები ძალიან დიდი ხნის წინათ, დაახლოებით ცხრა მილიონი წლის წინათ წარმოიქმნა, ხოლო ცირკონები კიდევ უფრო ძველია, შესაძლოა, მათი ასაკი ორი მილიარდი წელიც კი იყოს“, – განაცხადა ერთ-ერთმა მკვლევარმა, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორმა ტრონდ ტორსვიკმა.

მეცნიერთა ვარაუდით, სუპერკონტინენტი როდინია დედამიწაზე ერთადერთი კონტინენტი იყო, რომელსაც ერთადერთი ოკეანე უვლიდა გარს. უცნობია მხოლოდ ის, ზუსტად რა ადგილზე მდებარეობდა ის. შესაძლოა, ახლა მეცნიერებმა ამ კითხვაზე პასუხი გასცენ კიდეც.

მაიას ტომი და აკუსტიკური გამაძლიერებლები

მექსიკელმა არქეოლოგებმა ძალიან საინტერესო არტეფაქტი აღმოაჩინეს: მაიას ტომის ინდიელების მიერ აგებულ ზოგიერთ ნაგებობაში არსებობს სექტორები, რომლებსაც შეუძლიათ ხმის შესამჩნევად გაძლიერება.

მაგალითად, პალენკაში მდებარე ტაძრის ნაგებობებში, რომლებიც ათას ხუთასი წლის წინათ



არის აშენებული, არსებობს სპეციალური ოთახები, სადაც ხმადაბალი საუბარი დიდ მანძილზე ვრცელდება.

მსოფლიოს უძველესი მარგალიტი

არსებობს რწმენა, რომ მარგალიტი დიდხანს ვერ ცოცხლობს და რამდენიმე ხნის შემდეგ მთლიანად იშლება.

არქეოლოგმა ვინსენტ შარპანტემ და მისმა კოლეგებმა ფრანგული არქეოლოგიური მისიიდან, რომლებიც არაბეთის გაერთიანებული საემიროებში მუშაობდნენ, კატეგორიულად უარყვეს ეს მცდარი მოსაზრება, როდესაც ნეოლითის ხანის უძელესი ადამიანის სადგომში აღმოაჩინეს მარგალიტი. ყველაზე მიახლოებითი გამოთვლებით ის დაახლოებით 7500 წლისაა.

მეცნიერების თქმით, იმ ეპოქაში მარგალიტი არ გამოიყენებოდა, როგორც სამკაული ან გადახდის საუალება, არამედ მას რიტუალური დანიშნულება ჰქონდა: მიცვალებულს ზედა ტუჩზე ადებდნენ.

მტკნარი წყლის ყველაზე დიდი მარაგი აფრიკაშია

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები. ბრიტანეთის გეოლოგიური საზოგადოებისა და ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მეცნიერებმა შეძლეს ერთად შეეკრიბათ ინფორმაცია მთელ კონტინენტზე წყალმბადი ჰორიზონტების შესახებ. გეოლოგ ჰელენ ბონსორის თქმით, „აქამდე არავინ დაფიქრებულა ფრუნტის წყლების მარაგის შესახებ, აღმოჩნდა, რომ ლიბიის, ალჟირისა და ჩადის ქვეშ იმდენი წყალი მდებარეობს, რომ ამ ქვეყნებს 75-მეტრიანი ფენით დაფარავდა“.

მიწის სიღრმეში წყლის მარაგი 100-ჯერ მეტია, ვიდრე ზედაპირზე. თუმცა, მეცნიერები აფრთხილებენ, რომ გამოყენებისას დიდი სიფრთხლე გამოიჩინონ. „წვიმების არარსებობის გამო წყალმბადი ჰორიზონტები არ ივსება, ამიტომ მტკნარი წყლის ფართომასშტაბიანმა გამოყენებამ, შესაძლოა, წყარო ძალიან სწრაფად დააშროს. საუკეთესო გამოსავალი პატარა, ხელის პომპები და მცირე ზომის ჭაბურღილები იქნება“, – ამბობს ჰელენ ბონსორი.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა